



14 მარტი, 2017

სამუშაო, №2 (2204)



რა ცვლილებები აისახება „უაღლესი განათლების შესახებ“ კანონში

ენიკო ჯაფარიანი

სტუდენტებისა და პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თანამშრომლობა წარმატებით გრძელდება. საკანონმდებლო ორგანოში ოფიციალურად დარეგისტრირდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.

გვ. 5



„აუდიტორია 115“-მა VI კორპუსი დატოვა

ნატო ოპოლდაძე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტში დარეგისტრირდა. „აუდიტორია 115“-მა, დაპირებისამებრ, თსუ-ის VI კორპუსი დატოვა. სტუდენტურმა გაერთიანებამ დააანონსა, რომ აქტუალურ საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საკითხებზე მუშაობას თსუ-ის პირველი

გვ. 4

ახალი სემესტრი ახალი ამბებით

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე



ახალი მიდგომა – არა პრივილეგიას!

პრინციპი – ყველა სტუდენტი თანაბარუფლებიანია!

გაიმარჯვებს კარგად შეფუთული კარგი იდეა და ინიციატივა!



გვ. 3

- მალე პირველ კორპუსთან არსებული სასადილოც გაიხსნება
- სტუდენტულ რესურს-ცენტრი იხსნება



- სტუდენტებისთვის გრანტები ახალი წესით განაწილდება
- ბიუროკრატიული პროცედურები ელექტრონული საჭმის წარმოებაზე შეცვალა

■ სტუდენტურ ომბუდსმენად თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედი კიოლინის სამგისტრო პროგრამის კოორდინატორი მარიო შიუტცე დაინიშნა. (რამ თავს არაბიზრად მოიხსენა) **გვ. 2**

■ ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის უნივერსიტეტში მმართველობითი სტრუქტურის ოპტიმიზაცია დასრულდება. (სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული 4 პუნქტი უკვე შესრულდა) **გვ. 3**

აქცენტი

■ „აუდიტორია 115“ ერთერთ მთავარ მოთხოვნად ისევ აუქნებს ბაგებში მდებარე თსუ-ის სტუდენტური საერთო საცხოვრებლის გარემონტების საკითხს. (აუდიტორია 115-მა VI კორპუსი დატოვა) **გვ. 4**

■ სტუდენტური პროტესტის პროცესში ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო თვითმმართველობების გაუქმება, რაც ვერ იქნა გათვალისწინებული.

(რა ცვლილებები აისახება „უაღლესი განათლების შესახებ“ კანონში) **გვ. 5**

■ გიორგი შარვაშიძემ აფხაზური ინტერნეტ-რადიოს აღდგენა დააანონსა, რომელიც თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა კვლევითი ცენტრის ბაზაზე იმუშავებს. (თსუ-ში აფხაზური ბიბლიოთეკა გაიხსნება) **გვ. 6**

■ კამპანის „არა ბარბარიზმებს“ ფარგლებში, უახლოეს მომავალში იგეგმება ონლაინ ლექსიკონის გამოცემა, რომელიც რუსულენოვან და ინგლისურენოვან ბარბარიზმებს გააერთიანებს. (როგორ ვხვდებით პირდაპირ ანის ჰიბრიდობის პრობლემას) **გვ. 7**

■ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ჰააგაში იმპირიული პროცესების საერთაშორისო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას (თარისტი სტატუსების წარმატება) **გვ. 11**

ნოემრში

■ ჩემ თავს არბიტრად მოვიაზრებ

ინტერვიუ სტუდენტურ ომბუდსმენტთან მარიო შიუტცესთან **გვ. 2**



■ „ეფექტური კომუნიკაციისთვის“ მიღებული სერტიფიკატი **გვ. 4**

■ თსუ-ში აფხაზური ბიბლიოთეკა გაიხსნა **გვ. 6**

■ მილიონერი პროფესორი და „შოკში“ ჩაგარდნილი სტუდენტები **გვ. 6**



■ ქართველოლოგიის პატრიარქი

■ ნოდლები აკაკი შანიძის სახელმუშეუმის აღდგენას ითხოვენ **გვ. 8-9**



600 000 ლარი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისთვის

■ სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული 4 პუნქტი უკვე შესრულდა **გვ. 3**



წარდგენილია 45 პროექტი

საპროექტო განაცხადების მიღება გრძელდება

180 000 ლარი საგანმანათლებლო, კულტურულ-სპორტული პროექტებისთვის





დალი კანდელაკი

2017 წლის გაზაფხულის სემესტრის მოხილვის პროცესი დასრულდა


შე სწავლის უფლების მქონე პირების ჩარიცხვა.

თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის დალი კანდელაკის ინფორმაციით, გარე მოხილვისთვის ვაკანტური ადგილები გამოცხადებული იყო მხოლოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან აღნიშნულ ფაკულტეტზე ჩარიცხა 5 სტუდენტი: 3 – ფიზიკის საბაკალავრო პროგრამაზე და 2 – მათემატიკის საბაკალავრო პროგრამაზე.

გაცილებით ფართომასშტაბიანი იყო შიდა მოხილვა. იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიდა 224 სტუდენტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – 75, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 65, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 52, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 29, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 28 სტუდენტი და მედიცინის ფაკულტეტზე – 25 სტუდენტი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხა 15 დოქტორანტი: იურიდიულ ფაკულტეტზე – 7, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 5, ხოლო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 3 დოქტორანტი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირებიდან 2016-2017 სასწავლო



წლის გაზაფხულის სემესტრიდან ჩარიცხა 3 აბიტურიენტი: იურიდიულ ფაკულტეტზე – 2, ხოლო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – 1.

2016 -2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რამდენიმე აქტივობა გამოაცხადა: გარე მოხილვა; შიდა მოხილვა; დოქტორანტურაში მიღება და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარე-

ახალი ჰვების ობიექტი თსუ-ში

ნაბო ოპოლაძე

საგზაფხულო სემესტრის დაწყებისას თსუ-ის X (მაღლივი) კორპუსში კვების ობიექტი ამოქმედდა. ობიექტი, ძირითადად, თსუ-ის მაღლივი კორპუსის, ბიოლოგიის კორპუსის და ბიბლიოთეკის სტუდენტებსა და თანამშრომლებს უზრუნველყოფს. კვალიფიციურ პერსონალთან ერთად სტუდენტებს და თსუ-ის თანამშრომლებს სტუდენტები მოემსახურებიან. საწყის ეტაპზე სასწავლო პრაქტიკას გადიან ტურიზმის მიმართულების პროფესიული პროგრამების სტუდენტები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული მთელ საწარმოო პროცესში. საწარმოო პრაქტიკას ტურიზმის პროფესიული სტუდენტები გაივლიან როტაციის პრინციპით, რაც გულისხმობს მათ უწყვეტ ჩართულობას სტუდენტური კვების ობიექტის მუშაობაში. კვების ობიექტი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

„ძალიან კარგია, რომ ამდენი ხნის შემდეგ უნივერსიტეტში კვების ობიექტის პრობლემა მოგვარდა. მთავარია იქოს სითბო, ხარისხიანი პროდუქცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ობიექტი დაიხურება. კვების ობიექტის გახსნასთან ერთად გაჩნდა სამუშაო ადგილებიც და სტუდენტებს სწავლის პარალელურად მუშაობაც შეეძლება“, – განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

კვების ობიექტის სახელის შერჩევაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები არიან ჩართულნი. არსებობს უამრავი ვერსია. თსუ-ის კვების ობიექტების მენეჯერის ინფორ-

მაციით, სტუდენტები ერთ ვარიანტზე უახლოეს მომავალში შეჯერდებიან.

სტუდენტებისთვის პროდუქცია ხელმისაწვდომი რომ იქოს, უნივერსიტეტის სასადილოში ფასები საბაზრო პირობებთან შედარებით გაცილებით დაბალია.


„სტუდენტური კვების ობიექტის გახსნამდე საფუძვლიანად შევისწავლეთ წარსული გამოცდილება. ჩავატარეთ სტუდენტების გამოკითხვა, ასევე შევისწავლეთ პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნები. გავანალიზეთ ყველა ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც აფერხებდა კვების ობიექტის ფუნქციონირებას – ამან მოგვცა შესაძლებლობა, გაგვეკეთებინა სწორი ანალიზი. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ არჩეული სტრატეგია, რომელიც ეფუძნება სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას და მათი მოთხოვნების გათვალისწინებას, იქნება წარმატების მთავარი ფაქტორი. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს გამოჩენილი მხარდაჭერისთვის. დიდი მათი წვლილი კვების ობიექტის გახსნაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა სტუდენტური კვების ობიექტების გამართულად ფუნქციონირებისთვის გვადიხვება იმედს, რომ თსუ-ში კვების ობიექტების პრობლემა უახლოეს მომავალში სრულად გადაიჭრება“, – აღნიშნა თსუ-ის კვების ობიექტების მენეჯერმა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ასისტენტ-პროფესორმა ვალერი არღუთაშვილმა.

უახლოეს პერიოდში კვების ობიექტი თსუ-ის პირველ კორპუსთანაც გაიხსნება.



ჩემ თავს არბიჯალ მოვიაზრებ

ინტერვიუ სტუდენტურ ომბუდსმენთან მარიო შიუტცესთან



ნაბო ოპოლაძე

სტუდენტურ ომბუდსმენად თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედებდა იკორდინატორი მარიო შიუტცე დაინიშნა. ომბუდსმენის საქმიანობის ძირითად მიზანს სტუდენტური უფლებებისა და თავისუფლების დარღვევა/შეზღუდვის ფაქტების გამოვლენა წარმოადგენს. იგი კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნისას მხარეებს შორის მედიატორის როლს შეასრულებს. სტუდენტური ომბუდსმენი საქმიანობას ანაზღაურების გარეშე ახორციელებს.

– გაგვეცანით, ვინ არის ადამიანი, რომელიც თსუ-ის სტუდენტების უფლებებს დაიცავს?

– მე გახლავარტ გერმანელი იურისტი, ასევე გერმანიის სახელმწიფო ექსპერტი. საქართველოში თითქმის 3 წელია ვცხოვრობ. პირველ რიგში, ვმუშაობ საქართველოს მოსამართლეთა კონსულტანტად სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, კიოლნის უნივერსიტეტისა და თსუ-ის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი გახლავარტ.

– აქამდე თუ გიმუშავიათ სტუდენტურ ომბუდსმენად?

– თსუ-ში სტუდენტური ომბუდსმენის თანამდებობაზე დანიშნამდე, კონკრეტულად, ამ პოზიციაზე არასოდეს მიმუშავია, მაგრამ ვმუშაობდი ომბუდსმენად „საერთაშორისო განათლების ცენტრში“ სტიპენდიატთა საკითხებზე.

– სად და როგორ შეუძლიათ სტუდენტებს თქვენთან დაკავშირება?

– ძალიან მალე შექმნება ოთახი პირველ კორპუსში 105-ე აუდიტორიაში, მაგრამ უკველთვის იქ ვერ ვიქნები ჩემი სხვა სამსახურეობრივი მოვალეობების გამო. ჩემთან საკონტაქტო ინფორმაცია მალე თსუ-ის ვებ-გვერდზეც გამოქვეყნდება. ყველას შეეძლება ელექტრონული ფოსტით შემეხმიანოს მისამართზე – mario.schuetze.tsu.ge ან დამირეკოს ნომერზე – 577 99 03 68.

„ყველას შეეძლება ელექტრონული ფოსტით შეეხმიანოს მისამართზე — mario.schuetze.tsu.ge ან დამირეკოს ნომერზე — 577 99 03 68“

– რა გეგმები გაქვთ სტუდენტური ომბუდსმენის პოზიციაზე მუშაობისას, როგორ განახორციელებთ თქვენს მოვალეობას?

– მე დავეხმარები სტუდენტებს ისეთი აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში, როგორცაა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის და რიგი საკამათო თემების მოგვარება სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ომბუდსმენი გახლავთ მედიატორი. მე მოვისმენ ორივე მხარის აზრს და შევეცდები, რომ მათი პოზიციები შევაჯერო და ერთად მივიდეთ სწორი გადაწყვეტილებამდე. პირველ რიგში, სტუდენტის პოზიციიდან შევხედავ პრობლემას და მათ სათქმელს ვიტყვი. მე, როგორც ომბუდსმენი, ჩემ თავს არბიჯალ მოვიზარებ, რომელსაც ამოძრავებს სურვილი – ამა თუ იმ პრობლემური ვითარებიდან გამოსავალი იპოვოს.

ასევე, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ სტუდენტური თვითმმართველობისა და თსუ-ის ადმინისტრაციის ურთიერთობაში ჩავერთვები მხოლოდ მაშინ, თუ ეს მათი სურვილიც იქნება. ყველა მხარის ავტონომიურობის გათვალისწინება – ჩემი პრინციპია.



მარიო შიუტცე



ახალი სემესტრი ახალი ამბებით

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე

ახალი ამბების ანონსი

სტუდენტებისთვის ბრანტები ახალი წესით განაწილდება

– ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობთ, დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რასაც მივყვებით ნაბიჯ-ნაბიჯ. პირველი სიახლე გახლავთ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სტუდენტებისთვის გრანტების განაწილება ახალი წესით. პირველად უნივერსიტეტის ისტორიაში, შეიქმნა საგრანტო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც არიან თსუ-სა თუ სხვა უნივერსიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც განსაზღვრავენ – ვინ დაიმსახურებს გრანტს. გრანტის გაცემა არ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ გაერთიანებას, დაჯგუფებას თუ მიმდინარეობას მიეკუთვნება ესა თუ ის სტუდენტი. ყველა ინდივიდუალური თუ ჯგუფური განაცხადი ღია კონკურსის პირობებში თანაბარი პირობებით განიხილება. ცნობისთვის: 600 ათასი ლარია გათვალისწინებული მხოლოდ და მხოლოდ იმ სტუდენტების დასაფინანსებლად, რომლებიც სამეცნიერო კვლევაში მიიღებენ მონაწილეობას; 180 ათასი ლარი კი საგანმანათლებლო, სპორტული და კულტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი. ამ ორი მიმართულებით იმუშავებს კომისია გადაწყვეტილების მიღებისას – თუ რა თანხა გამოეყოფა ამა თუ იმ პროექტის განსახორციელებლად. ყველა ეს პროცედურა ონლაინ რეჟიმში წარიმართება. ეს არის თანხების განაწილების პირველი მცდელობა ღია სივრცეში, რაც ჯანსაღი პროცესია უნივერსიტეტისთვის.



ბიუროკრატიული პროცედურები ელექტრონული საქმის წარმოება შეცვალა

– 1 იანვრიდან უნივერსიტეტში ელექტრონული საქმის წარმოება დაიწყო. მინდა მადლობა ვუთხრა ფინანსთა სამინისტროს სააგენტოს, რომელიც ელექტრონული საქმის წარმოების სრულფასოვნად განსახორციელებლად თანამშრომელთა დატრენინგება/გადამზადებაში დაგვეხმარა. ჩვენს სტუდენტებს, პარტნიორებს უწევდათ ერთი ოთახიდან მეორეში გაუთავებელი სიარული, განცხადებებზე დასამოწმებელი ბეჭდების შეგროვება და ა.შ. – ეს ბიუროკრატიული პროცედურები შეცვალა სწრაფმა და გამჭვირვალე საქმის წარმოებამ, რაც, ვფიქრობ, მისასალმებელი ფაქტია.

- მიმდინარეობს მუშაობა დოქტორანტურის პროექტზე – თსუ-ში ახალი სახის დოქტორანტურა გვექნება!
- ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის თსუ-ის კურსდამთავრებულთა ფონდის საქმიანობის პირველ ანგარიშს უკვე მოვისმინეთ – თუ რა გაკეთდა ამ ფონდის მიერ. რამდენიმე ბიზნესმენი და კორპორაცია უკვე გამოგვეხმარა და მზად არიან – გარკვეული თანხები შეიტანონ ფონდში. ფონდი, ძირითადად, ორი საქმით იქნება დაკავებული: 1. წარჩინებული სტუდენტების სოციალური დახმარება და 2. ინფრასტრუქტურის განვითარება და საუნივერსიტეტო პროექტების დაფინანსება.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს უკვე ამ სემესტრში ექნებათ სტუდენტობის დასაწყისში, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა სპორტულ-კულტურულ დაწესებულებებში ფასდაკლებებით ისარგებლებენ.

მაღე პირველ კორპუსთან არსებული სასადილოც ბაიხსნება

– ჩვენ დავპირდით სტუდენტებს, რომ სტუდენტური კვების ორგანიზებაზე ეტაპობრივად ვიზრუნებდით. რამდენიმე დღის წინ მადლივ კორპუსში გაიხსნა სტუდენტური სასადილო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. ამ სასადილოს გახსნის მთავარი ხიზლი კი ის არის, რომ აქ დასაქმებული იქნებიან როგორც პროფესიონალები, ისე სტუდენტებიც. საწყის ეტაპზე სასწავლო პრაქტიკას გაივლიან ტურიზმის მიმართულების პროფესიული პროგრამების სტუდენტები, რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართული მთელ საწარმოო პროცესში, როგორც, მაგალითად, მზარეულების თანამშრომლები. საწარმოო პრაქტიკას ტურიზმის პროფესიული სტუდენტები გაივლიან როტაციის პრინციპით, რაც გულსხმობს მათ უწყვეტ ჩართულობას სტუდენტური კვების ობიექტის მუშაობაში.

რამდენიმე კვირაში ასევე გაიხსნება პირველ კორპუსთან არსებული სასადილოც. როგორც ხედავთ, შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვაკეთებთ, რასაც სტუდენტებს დავპირდით.

სტუდ-ქალაქში რესურს-ცენტრი იხსნება

– 13 მარტს სტუდ-ქალაქში რესურს-ცენტრი გაიხსნება. მაღე, დაპირებისამებრ, ბიბლიოთეკასაც გავხსნით. ბიუჯეტის დამტკიცებისას სტუდენტებს დავპირდით, რომ გავაორმაგებდით სტუდენტური ადგილების რაოდენობას. ლისის ტბასთან მდებარე ახალი სტუდ-ქალაქის გადმოფორმების პროცედურას უკვე ვასრულებთ, ცოტა ხანში გამოცხადდება ტენდერები და ვიზრუნებთ ახალი საცხოვრებლის ავეჯით აღჭურვაზე. ვვარაუდობთ, რომ 320 ადგილიანი ახალი სტუდ-ქალაქი ახალი სასწავლო წლიდან გვექნება.

ესაუბრა ნინო კაკულია

სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული 4 პუნქტი უკვე შესრულდა

ნაბო ოპოლუაძე

თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული 4 პუნქტი უკვე შესრულდა – გამოცხადდა კონკურსი სტუდენტური პროექტების დასაფინანსებლად; შეიქმნა სტუდენტური ომბუდსმენის ინსტიტუტი, სტუდენტური ომბუდსმენად თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედი კიოლნის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი მარიო შიუტცე დაინიშნა; ადმინისტრაციული მართვის ოპტიმიზაციისთვის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ტენდერი; თსუ-ის, უახლოეს მომავალში, გადმოეცემა ლისის ტბის ტერიტორიაზე განთავსებული სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, რომელიც 320 ადგილზეა გათვლილი.

რექტორის პრიფინგზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების შესახებ თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ყოველთვიურ ბრიფინგზე ისაუბრა. გიორგი შარვაშიძის ინფორმაციით, სტუდენტური პროექტების შერჩევა ღია წესით მოხდება. დაფინანსების მოსაპოვებლად საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა სტუდენტს,

სტუდენტურ ჯგუფსა და სტუდენტურ გაერთიანებას შეეძლება. კომისიის ობიექტურობას მისი შემადგენლობა (დაკომპლექტებულია არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით, თსუ-ის პროფესორებითა და მოწვეული პროფესორებით) და შეფასების კრიტერიუმები განაპირობებს. კომისიის წევრებმა სტუდენტების მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები 9 კომპონენტის მიხედვით უნდა შეაფასონ: პროექტის აღწერა, პროექტის აკადემიური ღირებულება, სამეცნიერო პროცესის/კვლევის წარმართვის ხარისხი, პროექტის განხორციელების ვადები, მოსალოდნელი შედეგები, ბიბლიოგრაფია, ბიუჯეტი, სტუდენტ(ებ)ის რეზიუმე/CV, სარეკომენდაციო წერილი.

ამ დროისთვის უკვე წარდგენილია 45 სტუდენტური პროექტი. განაცხადების მიღება გრძელდება. მიმდინარე წლის ბიუჯეტში სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად 600 000 ლარია გამოყოფილი; საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ამსახველი პროექტებისთვის კი 180 000 ლარია გამოიხნული.

მიმდინარე სემესტრიდან სტუდენტების უფლებების დაცვაზე გერმანელი ახალგაზრდა მკვლევარი მარიო შიუტცე იზრუნებს. სტუდენტური ომბუდსმენი სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის მედიატორი იქნება, რომლის უშუალო მოვალეობაა შექმნილი კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვა, სტუდენტური პრობლემების გაცნობა, კონფლიქტების პრევენცია, სტუდენტების ინტერესების დაცვა.

„იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება კონფლიქტი ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის, ან კონფლიქტი სხვადასხვა ჯგუფებს შორის, თუ გაჩნდება შეკითხვები – ომბუდსმენი იქნება ის პიროვნება, რომელიც მედიატორის ფუნქციას შეასრულებს“, – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისის- თვის უნივერსიტეტ- ში მმართველობითი სტრუქტურის ოპტიმიზაცია დასრულდება

ბრიფინგზე დაანონსდა, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მმართველობითი სტრუქტურის ოპტი-

მიზაცია დასრულდება. თსუ-მ უკვე გამოაცხადა ტენდერი შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტის განხორციელების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო პროცესის მართვის სრულყოფის, ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის გატარებისა და საინფორმაციო მენეჯმენტის სრულყოფისთვის შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების შესასყიდად. თსუ-ის რექტორის განცხადებით, „უმადლესი განათლების განვითარების პროგრამის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაიმარჯვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, შედეგად კი მიიღო 180 000 ლარის ოდენობის გრანტი. აღნიშნული დაფინანსების საშუალებით გამოცხადდა ტენდერი. იმედი მაქვს, რომ სერიოზული აუდიტორული კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც ჩაატარებენ მმართველობითი სისტემის აუდიტს, რაც დაგვეხმარება უნივერსიტეტის ევროპულ უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბებაში“, – აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.



„აუდიტორია 115“-მა VI კორპუსი დატოვა

1-ლი გვერდიდან

ნახო ოპოლად

კორპუსის „115-ე“ აუდიტორიაში გააგრძელდა კორპუსის დატოვებისას სტუდენტურმა მოძრაობამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

„ზუსტად ერთი წლის წინ, 2016 წლის 7 მარტს საფუძველი ჩაეყარა სტუდენტურ მოძრაობა – „აუდიტორია 115“-ს. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ მოვახერხეთ ბევრი მნიშვნელოვანი თემის პოლიტიკური დღის წესრიგში დაყენება. ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით სოციალური სამართლიანობისთვის, მშრომელთა უფლებებისთვის, ვართ სოლიდარულნი ყველა ჩაგრული ჯგუფის მიმართ, ვიბრძვით ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისთვის, ვუპირისპირდებით უნივერსიტეტში არსებულ კლანებსა და აკადემიურ კორუფციას, არ ვვფიქვით პოლიციურ სახელმწიფოს, ე.წ. ოდერის ინსტიტუტს და ა.შ.

ჩვენი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი საკითხი უკავშირდება სტუდენტური თვითმმართველობის არსებულ მოდელს. ჩვენი პოზიციაა, რომ უფრო სტუდენტი უნდა იყოს თანასწორი და თანაბრად მონაწილეობდეს როგორც უნივერსიტეტის მართვის პროცესში, ასევე, თანაბარი წვდომა უნდა



ერთწლიანი ბრძოლის შედეგად ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თანხმობის გარეშე.

შეზღუდული მატერიალური რესურსებით.

ერთწლიანი ბრძოლის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის

თანხმობის გარეშე. ქალბატონმა მარიამ ჯაშმა დაარეგისტრირა ცვლილებათა პაკეტი, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ: 1. საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტთა არჩევა მოხდება პირდაპირი წესით. (შეგახსენებთ, რომ აქამდე მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს შეეძლოთ საფაკულტეტო საბჭოებში შესვლა). 2. სტუდენტებს თანაბარი წვდომის უფლება ექნებათ უნივერსიტეტის ფინანსებზე ინდივიდუალური ან ერთობლივი ინიციატივების მხარდასაჭერად. (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ცვლილება ეხება არა მხოლოდ თსუ-ს, არამედ ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს). 3. სტუდენტური თვითმმართველობის

ერთიანი ცენტრალიზებული სტრუქტურის ნაცვლად უნივერსიტეტები თავად გადაწყვეტენ – თუ რა ტიპის სტრუქტურა შეესაბამება მათ სპეციფიკას. ჩვენთვის, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ეს ახალი ორგანო დაკომპლექტდეს მხოლოდ პირდაპირი წესით არჩეული სტუდენტებით. კანონის ამჟამინდელი ვერსია ამ საკითხს ღიად ტოვებს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვაპირებთ სამუშაო პროცესში ჩართვას და საკომიტეტო სხდომებზე ამ ინიციატივის მხარდაჭერას. თუ აღნიშნული საკითხი არ განისაზღვრება კანონით, რჩება იმის ალბათობა, რომ მივიღოთ კვლავ მანკიერი სისტემა.

ჩვენ 3 თვიანი პიკეტირების შემდეგ ვტოვებთ VI კორპუსს. გვინდა, დიდი მადლობა გადავხადოთ სტუდენტებს, ლექტორებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს და ყველა ჩვენს მხარდამჭერს თანადგომისათვის. ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ ბრძოლას უკეთესი უნივერსიტეტისთვის. იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული შეთანხმება ყველა მომდევნო საფეხურს წარმატებით გაივლის და საბოლოოდ ახალი კანონი უზრუნველყოფს სტუდენტთა თანასწორობას.

ხვალიდან ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებთ 115-ე აუდიტორიაში მუშაობას, – აცხადებენ „აუდიტორია 115“-ის წევრები. „აუდიტორია 115“ ერთერთ მთავარ მოთხოვნად ისევ აყე-



იბადს ვიბო-ვაბო, რომ აღნიშნული შეთანხმება ყველა მომდევნო საფეხურს წარმატებით გაივლის და საბოლოოდ ახალი კანონი უზრუნველყოფს სტუდენტთა თანასწორობას

ნებს თსუ-ის ბაგეში მდებარე სტუდენტური საერთო საცხოვრებლის გარემონტების საკითხს. მათი ინფორმაციით, ამ პრობლემით პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში დაინტერესდა და სტუდენტებს პირობა მისცა, რომ საერთო საცხოვრებელს ეწვევა და ამ საკითხზე მუშაობას დაიწყებს.

პიკეტის მოხსნის შემდეგ „აუდიტორია 115“-მა VI კორპუსში ბიბლიოთეკის გახსნა დააანონსა. მათ საკუთარი ძალებით დაიწყეს VI კორპუსში 106-ე აუდიტორიის რემონტი.

„ეფექტური სერვისების უზრუნველყოფის მიზნით სერვისების განათლების საერთაშორისო გამოფენაზე“

განათლების საერთაშორისო გამოფენაზე

ნახო ოპოლად

განათლების საერთაშორისო გამოფენაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტების პროექტის მიხედვით შექმნილი სტენდით წარსდგა. ეს გახლდათ თბილისის მერიისა და თსუ-ის მიერ ორგანიზებული კონკურსში – „მეიქათონი“ – გამარჯვებული პროექტის მინი მოდელი – ერთგვარი საგამოფენო ზონა, რომელიც თბილისის ურბანული განვითარების მიზნით შეიქმნა. იდეის ავტორები არიან სტუდენტები: მექი გიორგაძე და ენდი ჭელიძე. სტენდზე განთავსდა თსუ-ის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის აღმწერი ბროშურები, სტუდენტური ცხოვრების ამსახველი დეტალები, კონკურსში – „მეიქათონი“ – გამარჯვებული სტუდენტების პროექტების მაკეტები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროექტების შედეგები, მათ შორის „შემოდგომის ლეგენდის“ კრებულები. გამოფენაზე თსუ-ის მთავარი გზავნილი თავად სტენდი იყო – უკვე განხორციელებული სტუდენტური პროექტი.

განათლების საერთაშორისო გამოფენაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყველაზე „ეფექტური კომუნიკაციისთვის“ სერტიფიკატი გადაეცა.

წელს ძალიან უჩვეულო გამოფენა გვაქვს, წარმოდგენილია სტუდენტების ინიციატიური პროექტები, რომლებიც თსუ-ის „ფაბლაზში“ მომზადდა. სასიხარულოა ის ფაქტი,

რომ „ფაბლაზში“ არა მხოლოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, არამედ თითქმის ყველა ფაკულტეტის სტუდენტები მუშაობენ და, შესაბამისად, ეს სტრუქტურაშიც დაირღვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის და იქნება ღია სივრცე, სადაც უამრავი ახალი იდეა იზადება“, – განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

მექი გიორგაძისა და ენდი ჭელიძის პროექტის მთავარი დანიშნულება, კონკრეტულად, ითვალისწინებს საგამოფენო სივრცის შექმნას მაღალტექნოლოგიურ მზის ბატარეებზე მომუშავე ინიციატიური სკამით, მობილურებისა და ლეპტოპების დამტენებით, მაღალსიჩქარიანი WIFI-ით, ველოსიპედების პარკინგი. პროექტი, ამავდროულად, ეწევა სუფთა ენერჯის მოხმარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. იდეის ავტორების ინფორმაციით, თსუ-ის 100 წლის იუბილეზე პროექტის განხორციელებაც იგეგმება.

„საგამოფენო სივრცე რამდენიმე პუნქტს მოიცავს. პირველი არის საგამოფენო სტენდი, სადაც ახალგაზრდა ხელოვანთა ნამუშევრები განთავსდება. შევქმნით ონლაინ-პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც შევარჩევთ ნამუშევრებს. ვეძებთ სპონსორებს. ნულიდან დავიწყეთ და აქამდე მოვედით. მიგვაჩნია, რომ ეს დიდი წარმატებაა. შესაძლოა, თსუ-ის 100 წლის იუბილეზე პროექტი სრულად განხორცი-

ელდეს“, – აღნიშნა ენდი ჭელიძემ.

„პროექტი შეიძლება სხვადასხვაგვარად ან ნაწილობრივ განხორციელდეს, მაგრამ იდეა ერთი დარჩება – ხელოვანი ხალხის გაერთიანება“, – გვითხრა მექი გიორგაძემ.

სტუდენტები თსუ-ის ფაბლაზში მუშაობას განაგრძობენ. მათი ბრენდის სახელია „მექმელია“. ისინი ამზადებენ აქსესუარებს, მედალიონებს, მუშაობენ ხეზე. უახლოეს მომავალში სამი ახალი პროდუქტის დამატებას გეგმავენ.

თსუ-ის სტენდი განათლების საერთაშორისო გამოფენაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ დაათვალიერა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეთავაზებებს გაეცნო არაერთი აბიტურიენტი.

„ამ გამოფენამ დაგვანახა, თუ რამდენი რამ შეგვიძლია გავაკეთოთ თსუ-ში ჩაბარების შემთხვევაში. მე უკვე გადავწყვიტე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება“, – აღნიშნა მარიამ კვიციანიამ.

„გამოფენა მომწონს. ამავე დროს, თბილისის უნივერსიტეტის ხალხური ცეკვების ანსამბლში ვცეკვავ, ამიტომაც თსუ ავირჩიე“, – გვითხრა ლელუკა ლაბაძემ.

განათლების საერთაშორისო გამოფენა 16 თებერვალს მოეწყო. ღონისძიების მსვლელობისას ჩატარდა შემდგომი ხასიათის ვიქტორინა. გამარჯვებულები თსუ-ის ბრენდირებული ატრიბუტიკით დაჯილდოვდნენ.



რა ცვლილებები აისახება „უმაღლესი განათლების შესახებ“ ხანონში

ინტერვიუ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან მარიამ ჯაშთას

1-ლი გვერდიდან

დოკუმენტში გათვალისწინებულია „აუდიტორია 115“-ისა და, ასევე, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარდგენილი ინიციატივები. კანონპროექტის განხილვა საგაზაფხულო სესიის პერიოდში საკომიტეტო მოსმენებზე გაგრძელდება. ცვლილებების შესახებ წინადადებების შემუშავება და პოზიციების შეჯერება სამი თვის მანძილზე გრძელდებოდა. აქტუალურ საკითხებზე, კონკრეტულად თუ როგორ შეიცვლება სტუდენტური ცხოვრება კანონპროექტის მიღების შემდეგ და რამდენად შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბიუჯეტო დაფინანსების სისტემის დანერგვა, რომელიც სტუდენტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნად კვლავაც რჩება, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს მარიამ ჯაშთას ვესაუბრეთ.

– „აუდიტორია 115“-მა VI კორპუსი დატოვა. სტუდენტები ელოდნენ კანონპროექტის დარეგისტრირებას. საინტერესოა, რა პრინციპებია ასახული იმ პროექტში, რომელიც უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას უკავშირდება?

– დაახლოებით სამი თვე გრძელდებოდა ჩვენი სამუშაო პროცესი. მისასალმებელი გახლავთ ის, რომ ჩვენ ერთობლივად შევძელით – მოსალოდნელი დესტრუქციული პროცესები კონსტრუქციულ დიალოგად გვექცია სტუდენტთა ორივე მხარის მონაწილეობით (გფულისხმობს როგორც სტუდენტური თვითმმართველობის, ასევე „აუდიტორია 115“-ის წევრთა ძალიან აქტიურ ჩართულობას დიალოგში). ანალიზზე დაფუძნებით და საერთაშორისო გამოცდილების (20-ზე მეტი ქვეყნის გამოცდილების) შეჯერებით პოზიციები დაგვახლოვებდა. მოლაპარაკების პროცესში მხარეები ცდილობდნენ პოზიციების დაახლოებას, რაც მოლაპარაკებების კლასიკური მიდგომაა, მაგრამ ყველა მოთხოვნის 100%-ით გათვალისწინება, რეალურად, ვერ ხერხდება. ჩვენ ვკერძობით იმ ოპტიმალურ და რეალისტურ ცვლილებებზე, რომელიც კონკრეტული კონტექსტისთვის და კონკრეტული ქვეყნის შემთხვევაში არის მისაღები. ამ შეჯერებულ ვერსიას, რომელიც იანვრის დასაწყისშიც მზად გვქონდა, უკვე ჩემს თანაგუნდელებთან ერთად გარკვეული ეტაპობრივი დისკუსია დასჭირდა (ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას კანონპროექტის ინიცირებასთან დაკავშირებით ვერ მივუძღვებოდი, რადგან გუნდური პრინციპი ჩვენთვის მნიშვნელოვანია).

რაც შეეხება კონკრეტულად ცვლილებებს, ეს შეიძლება დაგეგმოს 4 ძირითად ბლოკად. პირველი პრინციპი უკავშირდება სტუდენტების უფლებას – ფაკულტეტურ საბჭოებში იყვნენ პირდაპირი წესით არჩეულნი. დღევანდელი კანონმდებლობით, ქვეყნის მას-



მარიამ ჯაშთა

შტაბით, უნივერსიტეტების სენატში სტუდენტების არჩევა პირდაპირი წესით ხდება. ახალი კანონპროექტის მიხედვით, იგივე წესი გავრცელდება ფაკულტეტურ საბჭოებში სტუდენტთა არჩევანს კუთხითაც. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო თსუ-ის რექტორატს და სტუდენტურ თვითმმართველობას თქვენს უნივერსიტეტში ამ ცვლილების უკვე დანერგვისთვის – ფაკულტეტურ საბჭოებში სტუდენტების წარმომადგენლების არჩევნები უკვე ჩატარდა პირდაპირი არჩევანის წესით. განსხვავება ის არის, რომ თუკი ფაკულტეტურ საბჭოებში არჩევანისთვის ადრე აუცილებელი იყო – სტუდენტი უფილიყო თვითმმართველობის წევრი, დღეს ეს აუცილებლობა იხსნება. ყველა სტუდენტს თანაბარი უფლება აქვს – მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, რაც პროგრესული ნაბიჯია. ეს უფლება გავრცელდება ქვეყნის მასშტაბით ყველა სტუდენტისთვის.

მეორე ცვლილება გახლავთ ის, რომ თუკი აქამდე სენატსა და ფაკულტეტურ საბჭოებში არჩევანს უფლება ჰქონდათ მხოლოდ ბაკალავრიატის სტუდენტებს, ამიერიდან უკვე თითოეული საფეხურის სტუდენტს მიეცემა უფლება, რომ იყოს ჩართული უნივერსიტეტის მმართველობით ორგანოებში (ეს მოხდება პროპორციული წესით, იმისდა მიხედვით, თუ რა პროპორციით არის წარმოდგენილი სხვადასხვა საფეხურის სტუდენტი კონკრეტულ უნივერსიტეტში). მოგვხსენებათ, რომ მე-2 და მე-3 საფეხურის სტუდენტებს ბევრად უფრო მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და უფრო ღირებული წვლილის შეტანა შეუძლიათ დისკუსიაში – თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესები.

მესამე ცვლილება ეხება სტუდენტების უფლებას, რომ თანაბარი წვდომა ჰქონდეთ იმ რესურსებთან, რომელსაც უნივერსიტეტი გამოყოფს სტუდენტური ინიციატივებისთვის – ეს იქნება ინდივიდუალური თუ ერთობლივი ინიციატივა (იგულისხმება პროექტების დაფინანსება – ეს შეიძლება იყოს სემინარი, გამოფენა, ინოვაცია და ა.შ.). კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, მადლობას ვუხდით უნივერსიტეტის რექტორატს, რომელმაც იანვრიდან ეს მიდგომა და წესი უკვე დაამკვიდ-

სტუდენტური პრობლემების პროცესში ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო თვითმმართველობის გააქტიურება, რაც ვერ იქნება გათვალისწინებული, რადგან თავად სტუდენტური ორგანიზაციების არსებობა უკვე მიღწეული პროგრესია (მრავალწლიანი დემოკრატიის მქონე და ბევრად უფრო გამოცდილი ქვეყნების მაგალითზე სტუდენტური ორგანიზაციები ძალიან წარმატებულად მუშაობენ და წვლილი შეაქვთ სასწავლო პროცესების გაუმჯობესების თუ სტუდენტთა უფლებების დაცვის კუთხით).

კანონპროექტში გათვალისწინებული იქნება ცვლილება, რომელიც თითოეული უნივერსიტეტის დონეზე უფრო მეტ თავისუფლებას მიანიჭებს სტუდენტურ წარმომადგენლობას, რომ თავად განსაზღვროს – რა სახის, თუნდაც რა სახელწოდების (თვითმმართველობა, კლუბი, ასოციაცია თუ ასამბლეა) რგოლი იქნება და რა წესდებით იფუნქციონირებს. კანონი დაარეგულირებს, რომ თითო უნივერსიტეტის წამყვან სტუდენტურ ორგანიზაციას, ისევე, როგორც დღეს, სულ მცირე, სტუდენტების 10% აირჩევს. ანუ ჩვენ სტუდენტური თვითმმართველობების მოდელის დივერსიფიკაციას ვახდენთ, რათა უნივერსიტეტებს და სტუდენტებს მიეცეთ მეტი საშუალება – შემოიტანონ ინოვაციები და გაჩნდეს უფრო ჯანსაღი კონკურენცია მოდელს შორის (რომელი მოდელი უფრო გაამართლებს). ამდენად, ესეც იქნება პროგრესული ნაბიჯი.

– არის ვარაუდი, რომ ხელისუფლება ვერ თმობს თვითმმართველობას, როგორც საუნივერსიტეტო ბერკეტს საჭიროების შემთხვევაში...
– შესაძლებელია, საზოგადოებაში სტუდენტური თვითმმართველობის მიმართ დამოკიდებულება, ერთგვარად, ასოცირდებოდა არა ჯანსაღ იმიჯთან, რადგან ამ სტრუქტურის პოლიტიზირება 2004 წლიდან

მამდვილად სახეზე გვქონდა. ამჯერად ჩვენ გვინდა, სტუდენტური ორგანიზაციები უფრო მრავალფეროვანი, დეცენტრალიზებული გახდნენ, რაც თვითმმართველობების დახვეწისკენ გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

განათლების სისტემის ხელმძღვანელებს და მონაწილე მხარეებს გაათმავებელი პასუხისმგებლობა გვაქვს, რომ თანამედროვე სტანდარტებს მივუახლოვდეთ ჩვენი განათლების სისტემები და ხარისხის პარამეტრები. დასამალი არ არის, რომ განათლების ხარისხთან მიმართებაში რჩება მნიშვნელოვანი პრობლემები, თუნდაც, მაგალითად ავილოთ ის, რომ ჩვენი სამაგისტრო და სადოქტორო ნამუშევრების აბსოლუტური უმრავლესობა საერთაშორისო სტანდარტების ფილტრს ვერ გაივლის, ვინაიდან, იგივე რეფერირების მექანიზმი, კვლევის მეთოდოლოგია და ა.შ. ბევრად ჩამორჩება იმ სტანდარტს, რომელიც დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების დონეზეა აპრობირებული. ჩვენ ვგვირდება უკეთესად განათლებული და საზოგადოებრივად თუ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ახალგაზრდა თაობა და ვფიქრობ, ზემოთ დასახელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს ამ მიზნისკენ სვლას.

სამომავლოდ დაგეგმილია სახელმწიფო-ლაქვამ-დებარების უნივერსიტეტების ტიპის გამოყოფილი გრანტების მოცულობის გა-

– რექტორს ბევრი ინიციატივა აქვს, თუნდაც უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით და ა.შ. და როდესაც საუბარია უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაფინანსებაზე, ამ მიმართულებით რას ფიქრობს სახელმწიფო? უნივერსიტეტს არ ჰყოფნის სტუდენტისგან შემოტანილი თანხები...

– პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ განათლების სამინისტროსთან ერთად ინტენსიური ანალიზის პროცესში ვართ. შემდგომში გვექნება სტრატეგიული დაგეგმარების ეტაპი დაფინანსებასთან დაკავშირებით, ზოგადად, განათლების სისტემაში თითოეულ საფეხურზე და, მათ შორის, უმაღლესი განათლების სისტემაში. ალბათ აკვირდებით გარკვეულ განცხადებებს, თუნდაც განათლების მინისტრის მხრიდან გაუღებულ ინიციატივებს... მე აბსოლუტურად ვიზიარებ მინისტრის პოზიციას, რომ დღეს არსებული სახელმწიფო გრანტების სისტემა არ ქმნის შესაბამის მოტივაციას წარმატებული სტუდენტებისთვის, რომ მათ შეინარჩუნონ მაღალი აკადე-

მიური შედეგები. სახელმწიფო გრანტის მიღების შემდგომ ბაკალავრიატის სტუდენტები (დაახლოებით 40 %) აღარ აქცევენ ყურადღებას საკუთარ აკადემიურ მოსწრებას და ვფიქრობ, რომ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი არ არის სათანადოდ გამოყენებული. მეორე საკითხი გახლავთ სახელმწიფო გრანტების მოცულობა. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენ ერთი წლით გადავავადეთ სახელმწიფო გრანტის მოცულობების ხელახალი განსაზღვრა, რაზეც მომავალი სასწავლო წლისთვის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთობლივად იმუშავებს.

სამომავლოდ დაგეგმილია სახელმწიფო-დაქვემდებარების უნივერსიტეტებისთვის გამოყოფილი გრანტების მოცულობის გადახედვა. თუმცა მხოლოდ ფინანსური რესურსების ზრდა ვერ იქნება იმ პრობლემების გადაჭრის საშუალება, რომელიც დღეს დგას უმაღლესი განათლების სისტემის წინაშე. ჩვენი ამოსავალი წერტილი და მთავარი ამოცანაა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესება, რათა, როგორც უმაღლესი განათლების სისტემის, ასევე, პროფესიული განათლების სისტემის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი იყოს ბევრად უფრო მაღალი, ვიდრე დღეს გვაქვს. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კონკრეტული პროგრამებისა და მიმართულებების დაგეგმვა თითქმის არ ხდება შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნათა შესაბამისად, ამ კუთხით მნიშვნელოვანი მუშაობაა გასაწევი. რა თქმა უნდა, შენარჩუნდება ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც ექსკლუზიურად საქართველოსთვის, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია.

ჩვენ, ასევე, უნდა ვიზრუნოთ არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების ზრდაზე, არამედ თითოეული უნივერსიტეტის უფრო მეტ დაინტერესებაზე – გახდეს საერთაშორისო პროგრამების მონაწილე. ჩვენ მაქსიმალურად უნდა მოვიზიდოთ საერთაშორისო ასპარეზიდან სტუდენტები როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში, რადგან განათლების სისტემა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პლატფორმა ჩვენი ეკონომიკური განვითარების კუთხით. ძალიან უხეში გათვლებით, საქართველოში 10 000 უცხოელი სტუდენტი უკვე სწავლობს და ამით, სულ მცირე, 100 მილიონი ლარის ეკონომიკური დოვლათი იქმნება – ეს არის უდიდესი პოტენციალი! ჩვენი გეოპოლიტიკა რეალურად გვადლევს საერთაშორისო განათლების სისტემაში უფრო აქტიურად ჩართვის არაჩვეულებრივ საშუალებას და, გარდა იმისა, რომ უმჯობესდება ჩვენი განათლების სისტემის ხარისხი, განათლების ინტერნაციონალიზაციაც მიზნად უნდა დავისახოთ, რაც საქართველოს ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესია.

ტსუ-ში აფხაზური ბიბლიოთეკა გაიხსნა

ნატო ობოლაძე

აფხაზური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ წლების განმავლობაში შექმნილ აფხაზეთში გამოცემულ ლიტერატურას, ბროშურებს, აფხაზურ პრესას, პუბლიცისტიკას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ დოკუმენტებს და, ასევე, ცენტრის თანამშრომლების ავტორობით შექმნილ წიგნებს (ქართულ-აფხაზური სასაუბრო, ფოტო-ალბომი „აფხაზეთი XIX საუკუნე“ და ა.შ.).

„აფხაზეთიდან ჩამოგვაქვს მასალები, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვანი თემატიკისაა. აუცილებელია ამ ლიტერატურის დამუშავება, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საფუძვლიანად გააზრება“, – განაცხადა ტსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორმა ზურაბ შენგელიამ.

აფხაზური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდში 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე აფხაზეთში გამოცემული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი და ლიტერატურაა შესული. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა კვლევითი სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლების ინფორმაციით, აღნიშნული მასალების გაცნობა-შესწავლის შემთხვევაში, საზოგადოებისთვის ბევრად ნათელი გახდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და, ზოგადად, ორ ეთნოს შორის ისტორიული და დღეს არსებული კავშირები, აფხაზური მხარის პოზიციები.

„საინტერესოა 1992-2000 წლებში გამოცემული წიგნები, ბროშურები. აქ კარგად ჩანს ომის შემდგომი აფხაზე-



თის მდგომარეობა და იკითხება, რომ მათ დამოუკიდებლობაზე არც ჰქონიათ ლაპარაკი და რომ ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით საუბარი იყო ფედერაცია-კონფედერაციაზე. 1998 წლის შემდეგ სხვა რეალობის წინაშე დავდებით. ჩვენს ბიბლიოთეკაში განთავსებული მასალები კარგად შესწავლას საჭიროებს. ზოგადად, ვფიქრობ, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ხელიდან გაშვებული შანსების ისტორიაა“, – აღნიშნა ტსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ ნინო ბერძენიშვილმა.

აფხაზური ბიბლიოთეკის გახსნას ტსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე და სოხუმის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე დაესწრნენ. გიორგი შარვაშიძემ აფხაზური ინტერნეტ-რადიოს აღდგენაც დააანონსა, რომელიც ტსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა კვლევითი ცენტრის ბაზაზე იმუშავებს და, ძირითადად, აფხაზურენოვან საზოგადოებაზე იქნება გათვლილი.

„ტსუ-ის ქართულ-აფხაზური სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საქმიანობა – ბიბლიოთეკის გახსნა, ცენტრის ეგიდით წიგნების გამოცემა, აფხაზურენოვანი რადიოს აღდგენა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა აღდგეს სახალხო დიპლომატია, კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობები. ეს ყველაფერი აუცილებელი პირობაა აფხაზეთთან ურთიერთობის მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად. ჩვენ ქართულ-აფხაზუ-

რი ურთიერთობების საკითხებზე სერიოზულად ვფიქრობთ და გვექნება ბევრი ახალი შეთავაზება – საჭიროა სამეცნიერო ურთიერთობების აღდგენა-გადრმაგება. ასევე, ვვარაუდობთ, რომ ვიზალიზერალიზაცია, ვეროპასთან ასოცირების ხელშეკრულება ის პერსპექტივებია, რომელიც ხელს უწყობს გვექმნოს კავკასიაში მშვიდობისმყოფელი პოლიტიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისას, 1918 წელს, რექტორის მიერ გამოცემული ერთ-ერთი პირველი ბრძანება გიორგი ახვლედიანის დოცენტად დანიშვნას ეხებოდა და მიხანი აფხაზური თუ ოსური ენების შესწავლის გაძლიერება იყო. ჩვენც ვაპირებთ, რომ ეს ტრადიცია გავაგრძელოთ და აღნიშნული მიმართულებები გავაძლიეროთ“, – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

უახლოეს მომავალში ტსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი აფხაზური ენციკლოპედიის შექმნაზე დაიწყებს მუშაობას. პირველ ეტაპზე დაგეგმილია ენციკლოპედიური გამოცემების მომზადება სხვადასხვა თემატიკის მიხედვით. ცენტრის თანამშრომლები აღნიშნულ პროექტს აფხაზურ მხარესთან ერთად განახორციელებენ. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით მხარეებს განსხვავებული მოსაზრებები ექნებათ, ენციკლოპედიაში ორივე პოზიცია აისახება. ტსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე ტსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრს აფხაზური ენციკლოპედიის შედგენის საქმეში და, ზოგადად, სხვა პროექტებშიც მხარდაჭერას დაჰპირდა.

აფხაზური ბიბლიოთეკა ტსუ-ის VIII კორპუსში მე-3 სართულზეა განთავსებული.



თინათინ გიორგოშვილი

ჟურნალისტი

„როგორც მიწაში დათესილი პურის მარცვლი მოუტანს სარგებლობას დამთესველს, აგრეთვე ბური, რომელსაც წინ დაუდებ მშვიერს, შემდგომში ას წილ სარგებლობას მოიტანს“, – წმინდა იოანე ოქროპირის ეს სიტყვები კარგად შეესაბამება ტსუ-ის პროფესორის



გიორგი ხარჭილაძე

მილიონარი პროფესორი და „შოკი“ ჩაპარდნილი სტუდენტები



თინათინ გიორგოშვილის მიერ გაწეული ქველმოქმედებას. თავის პროფესიაზე და საგანზე შეუვარებულმა ქალბატონმა, რომელმაც საქართველოს ლატარიის კომპანიის გათამაშებაში 1 380 345 ლარი მოიგო და ერთ დღეში მილიონერი გახდა, გადაწყვეტილება მიიღო, რომ თავისი საუკეთესო სტუდენტების სწავლის საფასური სრულად გადაეხადა.

თინათინ გიორგოშვილის მიერ შერჩეული რიცხვების კომბინაცია „ილბლიანი“ გამოდგა მისი ორი სტუდენტისთვისაც, რომლებმაც თავიანთი ემოცია გაგვიზიარეს:

გიორგი ხარჭილაძე,
ტსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი:

– ჯეკპოტის მოგებამდე ვფიქრობდი, რომ გამიმართლა, რადგან ასეთი პედაგოგი შემიხვდა, როგორც ქალბატონი თინათინა. იგი თავისი საქმის პროფესიონალია და, რაც მთავარია, უზომოდ უყვარს, რასაც გვასწავლის. ძველი ბერძნული ისტორიის კურსს გვიკითხავს და მოკლე დროში მოახერხა, რომ ჩვენთვისაც შეუვარებინა ეს საგანი. იგი გამორჩეულია პიროვნული თვისებებითაც. სწავლის დაწყებისთანავე ჩვენ შორის ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ყოველთვის საქმის კურსშია, როგორც ცხოვრობენ მისი სტუდენტები, რას აკეთებენ ლექციების შემდეგ. მისგან ყოველთვის დიდ სითბოსა და მზრუნველობას ვგრძნობთ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც საქმე სწავლას ეხება, იგი

შეუვალი და მკაცრია, მაქსიმალურად ითხოვს უკან იმის მიღებას, რაც თავდაუზოგავი შრომის შედეგად გასცა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი თინათინისგან ზრუნვა და ყურადღება არასდროს გვაკლდა, ჩვენთვის მაინც მოულოდნელი იყო, როცა მან სწავლის მთლიანი საფასური გადაგვიხადა. ეს ფაქტი ძალიან სასიხარულოა, მაგრამ, ამავე დროს, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. ამის შემდეგ ჩვენ უფლება არ გვაქვს – იმედები გავუმტყუნოთ პედაგოგს, რომელმაც ასეთი საჩუქარი გავვიკეთა. ჩემი აზრით, ქალბატონმა თავისი ამ ნაბიჯით, ერთგვარად, ხელიც შეუწყო დარგის განვითარებას, რადგან კლასიკური ფილოლოგია, დღეს, არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია – ბაკალავრიატზე სულ 3 სტუდენტი სწავლობს, რომელთაგან ერთი სხვაგან გადასვლას აპირებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, ქალბატონი თინათინი ასე რომ დაინტერესდა ჩვენი სწავლით და დაგვაფინანსა. თავს მოვალედ ვთვლი, უფრო მეტი გავაკეთო ამ დარგის განვითარებისთვის.

მარიამ ფრანგიშვილი,
ტსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი:

– 2016 წელს ტსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების ბაკალავრიატი დავამთავრე და ამავე წელს კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრატურაზე ჩავაბარე. სწავლის დასაწყისშივე მივხვდი, რომ გამიმართლა, რადგან ისეთი პედაგოგი შემიხვდა, როგორც

ქალბატონი თინათინა გიორგოშვილი. პირადად ჩემთვის მისი საჩუქარი ერთგვარი „შოკი“ იყო! მართალია, ბევრი ვიშრომე ამ სემესტრის განმავლობაში და გამოცდაში 100 ქულაც დავიმსახურე, მაგრამ ასეთ სიურპრიზს მაინც არ ველოდი.


ქალბატონმა თინათინმა იცოდა, რომ სწავლის გადასახადის დასაფარად მოსწავლეებს ვამზადებდი და ხშირად ლექციაზე დალლილი მივდიოდი. მას ყოველთვის ვეცოდებოდი და ხშირად, ლექციაზე მისულს, შოკოლადებს მახვედრებდა. ამ შემთხვევაში რა შეიძლება ვთქვა? თავი ზღაპარში მგონია და ვეცდები – ჩემი მადლიერება სწავლით გამოვხატო. ვფიქრობ, ქალბატონი თინათინისთვისაც ამაზე უფრო დიდი საზღაური არ არსებობს.



მარიამ ფრანგიშვილი

როგორ შევაჩაოთ ქართული ენის ჰიბრიდიზაციის პროცესი?

ენის ახალისა



ამ მისიით აღიმაღლეს ხმა უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში და ქართულ ენას ჭომაგნიც გამოუჩნდნენ. კამპანია „არა ბარბარიზმებს!“ ძალას იკრებს და არა ერთგვარად აქციის, არამედ საყოველთაო მოძრაობის სახეს იღებს.

„მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან დღეს ისეთი ქართული ისმის, რომ უკვე უვლას გვიწვევს საკუთარი მეტყველების გაკონტროლება. ეს პროცესი, პირველ რიგში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უნდა დაიწმინდოს. უურნალ-გაზეთებშიც უხვად წააწვდებით სიტყვებს, მაგალითად – სტაფი (თანამშრომლების ნაცვლად); „აროგანტულობაში ნუ ჩამომართმევთ“ (ანუ „ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევთ“ ნაცვლად); „ქართული ეკონომიკის კონტრიბუცია“ და ა.შ.. თარგმანებიც ძალიან სცოდავენ ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით სახელმძღვანელოების. არ მინდა უვლას დასახელება, მაგრამ ძალიან ბევრ სფეროში აღწევს ეს „უბედურება“! მაგალითად, არ შეიძლება, რომ უმაღლესი სასწავლებლის პროგრამაში ეწეროს – პრიმარული და სეკუნდარული ლიტერატურა (ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ნაცვლად); ან ვინმემ დაწეროს – კოავტორი (თანაავტორის ნაცვლად)“, – აცხადებს ლექსიკოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი თინა მარგალიტაძე, რომელსაც არაერთი მაგალითი მოჰყავს, თუ როგორ ნაგვიანდება ქართული ენა.

კამპანიას უნივერსიტეტის პედაგოგი ქეთევან ანთელავაც უდგას სათავეში. მოძრაობის – „არა ბარბარიზმებს!“ – ორგანიზატორებმა ქართულ ენაში ბარბარიზმების უხვად დამკვიდრების მიზეზების დადგენა დაიწყეს. „არის ერთი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ამ სიტყვებით კეკლუცობენ. მაგრამ მომისმენია, მათ შორის, პოლიტიკოსებისგანაც, რომ – მინდა, ვილაპარაკო ქართულად, მაგრამ თავში არ მომიდის ქართული სიტყვა. ამდენად, როდესაც ვაანალიზებ – თუ რამ გამოიწვია ინგლისურენოვანი ბარბარიზმების ასეთი აზვირთება, ვასკვნი, რომ, ერთი მხრივ, მიზეზი არის ის, რომ საზღვარგარეთ უცხო ენაზე განათლებამიღებულ ადამიანებს საუბრისას, ხშირად, ინგლისური სიტყვების ქართული ეკვი-



თინათინ მარგალიტაძე

ვალენტები არ მოსდით თავში. მე მჯერა მათი, რადგან, მაგალითად, ჩვენმა თაობამ ინგლისური ენა ისწავლა რუსულენოვანი ლექსიკონებით და ჩვენც გვჭონია ეს პრობლემა, როცა რუსული ექვივალენტი მოგვდიოდა თავში და არა ქართული. თუმცა, არ გამოვირიცხავ, რომ გარკვეული ადამიანების ჯგუფისთვის გადმოქართულებული ინგლისური ფრაზებით საუბარი არის ვითომდა საკუთარი განათლების წარმჩინების საშუალება. ეს მცდარი აღქმაა, რადგან დადგა დრო, რომ ხშირად ვთქვათ – ეს არის გაუნათლებელი და მდაბიო მეტყველების ნიმუში“, – აღნიშნავს თინა მარგალიტაძე.

როდესაც კამპანიის – „არა ბარბარიზმებს!“ – შესახებ გაცხადდა, საზოგადოების მხრიდან ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულ ბარბარიზმების ლექსი-

კონს არაერთი მნახველი და „გამზიარებელი“ გამოუჩნდა. მოძრაობას უნივერსიტეტის სტუდენტებიც და საჯარო სკოლების მოსწავლეებიც შეუერთდნენ. მაისურების აქციის იდეა სტუდენტებისგან მოდის. მათი ინიციატივა სკოლების მოსწავლეებშიც აიტაცეს და დღით დღე სულ უფრო მრავლდებიან ჩვენს გვერდით მაისურიანი ახალგაზრდები, რომელთაც გადახაზული ბარბარიზმები ზურგზე აწერიათ.

როგორც გაირკვა, კამპანიის ფარგლებში, უახლოეს მომავალში იგეგმება ონლაინ ლექსიკონის გამოცემა, რომელიც რუსულენოვან და ინგლისურენოვან ბარბარიზმებს გააერთიანებს.

ასე რომ, კამპანია საყოველთაო ხასიათს იღებს, რათა, როგორც ქალბატონი თინა მარგალიტაძე ამბობს, შევაჩაოთ ქართული ენის ჰიბრიდიზაციის პროცესი.

ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტებმა ინგლისურენოვან ბარბარიზმებს ომი გამოუცხადეს და ეს კამპანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა და მისმა ხელმძღვანელმა თინათინ მარგალიტაძემ ითავა. აქცია 2016 წლის ნოემბერში დაიწყო.

„რამდენიმე წლის წინ, როდესაც ქართულ ენაში გაჩნდა პირველი ინგლისური ენის ძირი სიტყვები, ამ პროცესს შედარებით მსუბუქად ვუყურებდით. გვეგონა, რომ ეს რაღაც სახადია, რომელსაც მოვიხდით, რადგან როდესაც ერთი ენა მეორე ენასთან შედის კონტაქტში, გინდა, არ გინდა, ერთმანეთზე მაინც ახდენს გავლენას. თანდათან ეს პროცესი ძალიან გაღრმავდა და ვფიქრობთ, რომ მიუახლოვდა კრიტიკულ ზღვარს, ანუ გადავლახეთ წითელი საზღვარი: როდესაც უკვე ისმის ასეთი სიტყვები – მოსახლეობის ალარმიზაცია; ლარის კურსის ვალანტირობა; ბიზნესის დაცვის პრეტექსტით და ა.შ. – ჩვენ მივხვდით, რომ რაღაც ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო“, – ამბობს ჩვენთან საუბარში თინათინ მარგალიტაძე.

ფაქტია, ყოველდღიურ მეტყველებაში ბარბარიზმების დამკვიდრებით ქართული ენა ნაგვიანდება და მას, ასე ვთქვათ, გადარჩენა სჭირდება. სწორედ



აქციის მონაწილე სტუდენტები და მოსწავლეები



სახალი შანიძე – 130

ქართველოლოგიის პატივსაცემი

მანია ბორაძე

26 თებერვალს 130 წელი შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერის, პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, აკაკი შანიძის დაბადებიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უოველწლიურად მიაგებს პატივს მის ხსოვნას და სხვადასხვა ღონისძიებით ახსენებს თაობებს იმ ადამიანის ღვაწლსა და მემკვიდრეობას, ვინც ქართველოლოგია საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერულ დისციპლინად აქცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის მიერ აკაკი შანიძის საიუბილეოდ გამოცემულ ბროშურაში გვითხვობთ: „აკაკი შანიძის კვლევის სფეროში შედიოდა: ქართული ენა – ძველი და ახალი, ქართული დიალექტოლოგია, ქართული ფოლკლორი, რუსთველოლოგია, ლექსიკოგრაფია, ქართული ეტიმოლოგია, პალეოგრაფია, ქართველური ენები – მეგრული, სვანური, ლაზური, საქართველოს ისტორია“, იქვე, ცოტა ქვემოთ, მოყვანილია ამერიკელი ქართველოლოგის არონსონის სიტყვები: „ძალიან ცოტა მეცნიერს – და კიდევ უფრო ცოტა ენათმეცნიერს – შეუსრულებია ისეთი დიდი როლი თავისი ქვეყნის ისტორიაში, როგორც აკაკი შანიძემ შეასრულა“. სწორედ ამიტომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მას იმ მოამბევთა პლუდას მიაკუთვნებს, რომლებმაც მეცნიერებას საქართველოში ფართოდ გაუღეს კარი.



გამოფენაზე თსუ-ის მუზეუმმა საზოგადოებას შესთავაზა აკაკი შანიძის საიუბილეო გზამკვლევი, რომელიც მუზეუმის თანამშრომლებმა: ისტორიის დოქტორმა ალექსანდრე მარუაშვილმა და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა მანია გურაბანიძემ მოამზადეს.

ბუკლეტში მოცემულია აკაკი შანიძის ბიოგრაფია და რამდენიმე საინტერესო დოკუმენტი, რომელიც დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იზვითობად მიიჩნევა. კერძოდ, მასში შესულია 1917 წელს დაწერილი და უშრატლ „პროლოგები“ დაბეჭდილი აკაკი შანიძის ლექსი: „ქართული ეროვნული ზინი“, აკაკი შანიძის მიერ წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვები ექვთიმე თაყაიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის მიმართ, მისივე წერილი ვაჟა ფშაველას გარდაცვალების თაობაზე და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

გამოფენა გახსნა მუზეუმის ხელმძღვანელმა მანია გურაბანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპოზიციის შექმნაში მუზეუმს დახმარება გაუწია საქართველოს ეროვნულმა არქივმა, აკაკი შანიძის ოჯახმა და მუზეუმის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით გამოკვეთა გამოფენის ავტორის, ალექსანდრე მარუაშვილის წვლილი. „წარმოდგენილია, გაიხარო, რამდენი რამ დატოვა ამ ადამიანმა. არ არსებობს ენათმეცნიერების დარგი, მიმართულება, რომ ფუნდამენტური ნაშრომი არ დაეტოვებინა ამ დიდ მეცნიერს. იგი გახლდათ მსოფლიო დონის მოღვაწე და ამიტომაც ამ ექსპოზიციის შევეცადეთ სხვადასხვა კუთხით წარმოგვეჩინა ის, როგორც მეცნიერი, როგორც უნივერსიტეტის დამფუძნებელი, საზოგადოებრივი მოღვაწე და როგორც, უბრალოდ, ადამიანი. აქ გამოფენილია მისი მემორიალური ნივთები, ის, რაც დაცულია ჩვენთან მუზეუმში და ასევე არქივიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი“, – აღნიშნა მანია გურაბანიძემ.

აკაკი შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა და გამოფენა შეაფასა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპოზიციის მთავარი არის სტუდენტებისთვის ქართული მეცნიერების სათავეებთან მყოფი დიდი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჩვენება: „ძალიან საინტერესო და ცოცხალი ექსპოზიციია. აკაკი შანიძესთან მთელი ეპოქაა დაკავშირებული და კარგია, რომ გვაქვს საშუალება ფართოდ აღვნიშნოთ მისი იუბილე. ასევე კარგია, რომ სტუდენტებს აქვთ საშუალება, გაეცნონ, რა ხალხი იდგა უნივერსიტეტის სათავეებთან და რა სიმამლზე ასწიეს მეცნიერების თამასა საქართველოში. ჩვენ



უნდა გავფრთხილდეთ იმ დონეს და იმ სტანდარტს, რომელიც შემოიტანეს ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა, უპირველესად კი, აკაკი შანიძემ“, – განაცხადა მან.

აკაკი შანიძე, როგორც მეცნიერი და პიროვნება, გაიხსენა მისმა მოწაველემ, პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აკაკი შანიძის ქალიშვილის, აკადემიკოს მხეჭალა შანიძის მიმართვა: „ასეთი გამოფენები ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. გამოფენა, მუზეუმი, არქივი – ეს არ არის მკვდარი მასალების გროვა. ეს არის ცოცხალი ორგანიზმი. აქ არის ხალხი, რომელთა შრომაც ამ მასალებს ახალ სიცოცხლეს აძლევს და საყოველთაო კუთვნილებად ხდის. მე რომ ახლა აკაკი შანიძის ღვაწლზე ლაპარაკი დავიწყო, დიდი დრო დასჭირდება, უბრალოდ, მინდა ვითხრა, რომ აკაკი შანიძეს ქართველოლოგიის და, საზოგადოდ, ენათმეცნიერების 15-მდე სხვადასხვა დარგში აქვს ნაშრომები გამოქვეყნებული. დღევანდელ დროში რთული საკითხია მეცნიერების სხვადასხვა დარგების ურთიერთმიმართების საკითხი. ძალიან დასპეციალებულია ცალკეულ დარგებში კვლევა-ძიება. ასეთ ვითარებაში კი საჭიროა ერთიანი ხედვა და მონათესავე (ზოგჯერ არამონათესავე) მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი წარმოდგენა – ეს არის აკაკი შანიძეს და მისი დარგის მეცნიერებს: ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს და სხვებს ჭკონდათ – ისინი სხვადასხვა დარგებში მუშაობდნენ, მაგრამ არც ერთ დარგში არ ყოფილან დილექტანტები, ყველგან იყვნენ უმაღლესი პროფესიონალები და ჭკონდათ სხვადასხვა

დარგების მონაცემების ერთად შეკრების და გაანალიზების უნარი, რათა სათანადო სამეცნიერო დასკვნა მიეღოთ. ამ თვალსაზრისით, აკაკი შანიძე და მისი თაობის მეცნიერები დღესაც სანიშნოდ რჩებიან საზოგადოებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის. ამ იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ აკაკი შანიძის წერილობით მემკვიდრეობაში კიდევ ბევრი რამაა გამოსაქვეყნებელი და შესასწავლი. მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დღიურები, ექსპედიციების ჩანაწერები ფასეულ საისტორიო მასალას წარმოადგენს“, – აღნიშნა მხეჭალა შანიძემ და მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმისა და საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლებს გაწეული მუშაობისათვის.

აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

27-28 თებერვალს უნივერსიტეტმა აკაკი შანიძის 130 წლისთავს სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა (საორგანიზაციო კომიტეტი: აკადემიკოსი მხეჭალა შანიძე, პროფესორები: დარეჯან თვალთვაძე, რამაზ ჭურდაძე, ნანა გაფრინდაშვილი და ასოცირებული პროფესორი მანია ლომია).

კონფერენციის გახსნით სხდომაზე პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აკაკი შანიძის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები, რომელიც უოველწლიურად იმართება, არის ერთგვარი ანგარიში მეცნიერების წინაშე მისი მოწავეებისა და მოწავეთა მოწავეებისა. „დღევანდელი კონფერენციაც ამ ნიშნით იქნება აღბეჭდილი. აქ გამოვლენ მეცნიერები, რომლებიც დიდი მეცნიერის გზას აგრძელებენ და მის მემკვიდრეობაზე გაიხარდნენ“, – აღნიშნა მან.

კონფერენცია გაიხსნა აკაკი შანიძის 100 წლის იუბილესათვის მომზადებული ფილმით, რომელიც თსუ-ის არქივში ინახება.

კონფერენციის მონაწილეებს მისაღწეველ უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, თსუ-ის ჰუმანიტა-

ექსპოზიციისაში გაცოცხლებული ბიობრაფია

გამოფენაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმმა შემოგვთავაზა, წარმოდგენილი იყო აკადემიკოს აკაკი შანიძის ხანგრძლივი და მდიდარი სამეცნიერო ცხოვრების ამსახველი მასალა – 50-მდე ფოტო და 20-ზე მეტი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის აკაკი შანიძის დისერტაცია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა“ – ავტორისეული კომენტარებით; აკაკი შანიძის წერილი ჰოვარდ არონსონისადმი, ერიკ ჰამპის წერილი აკაკი შანიძეს (გადაწერილი ადრესატის მიერ), სტატია „სვანური კულტის ტერმინი გვრავ“ (მანქანაზე ნაბეჭდი, ავტორის ხელით ჩასწორებული), პეტრიწონის ჯვრის მონასტრის ჯვრის ასლი – შესრულებული პერგამენტზე აკაკი შანიძის ხელით, ივანე ჯავახიშვილის მიერ აკადემიკოს შანიძისადმი მიძღვნილი რუკები და სხვა. ექსპონატების დიდი ნაწილი ინახება თსუ-ის მუზეუმში, ნაწილი – საქართველოს ეროვნულ არქივში და ნაწილიც აკაკი შანიძის ქალიშვილის, ლელა შანიძის ოჯახში.



ალექსანდრე მარუაშვილი

სახალი შანიძე – 130

ქართველოლოგიის პატრიარქი

ა-მ გვ-და

რულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანელი ქართველოლოგი იოსტ გიპერტი.

გახსნის სხდომაზე წარადგინეს ასევე აკაკი შანიძის თორმეტომეულის ფარგლებში გამოსული მორიგი (რიგით მეოთხე) ტომი. ამ გამოცემის შესახებ მოსაზრება გამოთქვა აკადემიკოსმა მხეჭალა შანიძემ. „პირველად ეს წიგნი დაიბეჭდა 1931 წელს. ავთანდილ არაბულმა და მე იმ გამოცემაში, რომელიც 2010 წელს გამოვიდა, ზუსტად გავიმეორეთ პირველი გამოცემა. ეს წიგნი არ არის ჩვეულებრივი კრებული. ეს არის უდიდესი შრომის შედეგი. 1908 წელს, აკაკი შანიძე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მთის კილოებს გაეცნო მაშინ, როცა მთაში ჩასახლებულ ბიძასთან წავიდა სტუმრად და დასავლეთში, გურიაში გახრდილმა უმაწვილმა პირველად გაიგონა ხევსურის თუ ფშაველის სხვანაირი მეტყველება. იქ ნახა პირველად ვაჟა-ფშაველა და ისე მოიხიბლა ამ უველაფრით, რომ მთის კილოები-სადმი ინტერესი და განსაკუთრებული სიყვარული მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეერჩა. ამ კრებულის სამეცნიერო აპარატში, რომელიც ორჯერ უფრო დიდია ჩანაწერ ტექსტებზე, რამდენიმე ტექსტზე არის მითითება, რომელიც მას 1908 წელს, გიმნაზისტს, ჩაუწერია. ამ საკითხზე მუშაობა მას პეტერბურგის უნივერსიტეტშიც გაუგრძელებია და კიდევ ორჯერ მარტომარტო წასულა ექსპედიციაში (თუ ამას ექსპედიცია ერქვა). იმისათვის, რომ



თითოეული თხზულებისა და ლექსის ვარიანტები დაეძებნა, მან მთლიანად გადასინჯა ძველად გამოქვეყნებული ფოლკლორული მასალები და მუხუშ-მეშვი დაცული ჯერ კიდევ გაუხსნელი არქივები. ამას მოსდევდა სამუხუშო მუშაობა, ამის შედეგად ისე გამოვიდა, რომ ამ წიგნში არის არა მხოლოდ ტექსტები, არამედ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია ამ ტექსტების და მათი ვარიანტულობის შესახებ. ამიტომ ამ წიგნს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა“, – განაცხადა მხეჭალა შანიძემ.

ორდღიან ფორუმზე 50-მდე მოხსენება იქნა წარდგენილი. მომხსენებელთა შორის იყვნენ აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე („აკაკი შანიძე – ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი“), აკადემიკოსი მხეჭალა შანიძე („შენიშვნები ოშკის ბიბლიის შესახებ“), თსუ-ის ასოცირებული პროფესორი სალომე ომიანიძე („მცირით დაწვეული დიდი საქმე“), საქართველოს ეროვნული არქივის მეცნიერ-თანამშრომელი ქეთევან ასათიანი („ნაცნობი და უცნობი აკაკი შანიძე (მეცნიერის პირადი არქივი)“),

თსუ-ის პროფესორი დარეჯან თვალთვაძე („აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტორბუსი“), გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი მანანა თანდაშვილი („აკაკი შანიძის კვლევითი კონცეპტიდან დიგიტალურ ქართველოლოგიამდე“), პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე („სიტყვა იუბილე ქართულში“), პროფესორი დამანა მელიქიშვილი („სამი დიალექტისა და სამი სერიის ურთიერთმიმართებისათვის“) და სხვ.

კონფერენციაზე რამდენიმე სექციამ 6 ნაწილად იმუშავა. წარმოდგენილი მოხსენებები ეურდნობოდა იმ მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომელიც აკაკი შანიძემ დატოვა. სამეცნიერო თემათა მრავალფეროვნება კიდევ ერთი დასტური იყო, თუ რაოდენ დიდია ღვაწლი, რომელიც აკაკი შანიძემ ქართველოლოგიური დარგების განვითარებას დასდო.

აკაკი შანიძის შრომების გამოფენა

27 თებერვალს თსუ-ის ბიბლიოთეკაში გაიმართა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო აკაკი შანიძის 100-ზე მეტი შრომა. მათ შორის აღსანიშნავია მეცნიერის პირველი წერილი – „რას ვუცადოთ?“, რომელიც გაზეთ „მუშა“-ში 1906 წელს გამოქვეყნებულია.

დამთვალეობაზე გამოფენაზე ასევე შექმნილი ეხილა წერილები „რად არის მთვარეზე შავი ადგილები? (ფშაური ლეგენდა)“ (1908 წ. „ნაკადული“ მცირეფლოვანთათვის); „ლაშარის ხა-

ტი (ფშაური ლეგენდა ლექსად)“ (1910 წ. „ნაკადული“ მოზრდილთათვის); „ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებისა და წიგნების გამომცემლობებისადმი (პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის მიმართვა – ბიბლიოგრაფიის შედგენის აუცილებლობის შესახებ“ (1913 წ. „სახალხო გაზეთი“); ასევე მისი სამეცნიერო ნაშრომები, რომელთა გამოქვეყნების თარიღი 1918 წლიდან იწყება.

გამოფენის ამსახველ კატალოგს (შემდგენელი მეკა გორჩაშვილი) უძღვის ბიბლიოთეკის დირექტორის ზურაბ გაიპარაშვილის წინასიტყვაობა, რომელშიც ჩაწერილია: „სანიშნავია აკაკი შანიძის ხელოვნური გმირობის მაგალითები. მას არ გაუწყვეტია მეგობრობა საბჭოთა რეჟიმის მიერ რესირებულ ივანე ჯავახიშვილთან და ექვთიმე თაყაიშვილთან. ხშირად, საკუთარი მდგომარეობისა და სიცოცხლის რისკის ფასადაც კი, საჯაროდ გამოუხატავს ამ ორი დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მიმართ პატივისცემა, დაუდასტურებია ერთგულუბა უფროსი მეგობრისა და მასწავლებლებისადმი“...

ასეთი იყო აკაკი შანიძე – ქართველოლოგიის პატრიარქი, უდიდესი მეცნიერი, რომელმაც სტრუქტურაში მოიყვანა ქართული ენის გრამატიკა და შექმნა უამრავი გრამატიკული ნორმა, რომელმაც მივიწყებას გადაარჩინა ფოლკლორის არაერთი ნიმუში, შეისწავლა ქართველური ენები და მომავალ თაობას დაუტოვა ეპოქალური მნიშვნელობის ქართველოლოგიური ნაშრომები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ სამეცნიერო ღირებულება.

ნოღელეზი სახალი შანიძის სახლ-მუზეუმის აღდგენას ითხოვენ

ინერო სახალია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღის საჯარო სკოლა მისი დამფუძნებლის, აკაკი შანიძის სახელს ატარებს. სკოლა, რომელიც 1967 წელს გაიხსნა, სხვადასხვა სოფელი (ტოღები, ჭოგნარი, გორმალა, ქვაყუდე, ვახისუბანი) ემსახურებოდა. ამჟამად სკოლა მეზობელ სოფელშიცაა გახსნილი და, სკოლის მოსწავლეების სიმრავლის მხრივ, აკაკი შანიძის სახელობის სკოლას შვება მიეცა. წყალი, რომლითაც ნოღის სკოლა სარგებლობს, აკაკი შანიძის ძალისხმევითაა გამოყვანილი და ამ ღვაწლსაც ძალიან უმადლიან დიდ მეცნიერს.

„2005 წელს, როდესაც სკოლები საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთდა, ბატონი აკაკის სახელი აღარ ჰქონდა სკოლას. კანონის თანახმად მოვითხოვე, რომ როგორმე ეს სახელი დაბრუნებოდა ისევე ჩვენს სკოლას. მიიღეს ეს წინადადება და შარშან ისევე დაგვბრუნეთ მას აკაკი შანიძის სახელი“, – აცხადებს სოფელ ნოღის საჯარო სკოლის დირექტორი ციალა ძნელაძე.

26 თებერვალს სოფელ ნოღის საჯარო სკოლაში აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. „ღონისძიებაში მოსწავლეები ჩაერთეს. მათ თემები წარმოადგინეს აკაკი შანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მეცნიერის მუშაობის წლებზე, ასევე მის სახუმარო გამონათქვამებზე. აკაკი შანიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ამ სკოლის დაარსებაში და გვინდა, სახელოვანი მოღვაწე და მეცნიერი მუდამ ახსოვდეთ ბავშვებს“, – ამბობს სკოლის დირექტორი.



სკოლის მახლობლად პატარა ეზოში სახლი დგას, რომელიც ასევე აკაკი შანიძის სახელზეა აშენებული. სახლი აკაკი შანიძის უფიცილი სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზეა. როგორც ირკვევა, სახლ-მუზეუმი, რომელიც აკაკი შანიძის 100 წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა, მხოლოდ 2006 წლამდე შეინარჩუნეს. ის ძველი ქოხი, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა აკაკი შანიძე, უკვე აღარ არსებობს. ამჟამად გაუქმებული მუზეუმის ტერიტორიაზე აშენებული სახლში არავინ ცხოვრობს.

„მე ვიყავი საკრებულოს დეპუტატი და ბევრი ღონისძიება მაქვს გატარებული, რათა 2006 წელს გაუქმებული სახლ-მუზეუმი აღდგენილიყო. ჩვენი სკოლაც და სოფელიც დაინტერესებულია ამ სახლ-მუზეუმის ფუნქციონირებით, მაგრამ უშედეგოდ ჩაიარა ყველა ღონისძიებამ. არაერთ მთავრობას მივმართე წერილით, რასაც არავინ გამომხაურებია. რაიონის გამგებლსაც წერილით ახლახან მიუმართავს კულტურის სამინისტროსთვის, რომ რო-



გორმე აღდგეს ეს მუზეუმი. სხვადასხვა ექსპონატები, სურათები და აკაკი შანიძის ჩანთა ამჟამად სკოლაში გვაქვს და აქ ინახება.

როდესაც საკრებულოს წევრი ვიყავი, დავაყენე საკითხი, რომ ეს ეზო, სადაც აკაკი შანიძის სახელზე პატარა სახლი დგას, რეესტრში გავგეტარებინა, რათა დაფიქსირებულიყო, რომ ეს ნამდვილად აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის ტერიტორია – ეს მართლაც მოვახერხეთ. იმედია, აღარავინ შეეხება მას. ამ ადგილს დღემდე ბევრი სტუმრობს – ზუგდიდიდან, წალენჯიხიდან ახლაც მოდიან ბავშვები და აწურობენ ღონისძიებებს. ჩვენც დაგეგმილი ღონისძიება მის პატარა სახლში ჩავატარეთ“, – აღნიშნავს სოფელ ნოღის საჯარო სკოლის დირექტორი ციალა ძნელაძე. მისი თქმით, აკაკი შანიძის შთამომავლები იშვიათადლა სტუმრობენ სკოლას, თუმცა მათ ახსოვთ მხეჭალა შანიძისა და მისი შვილიშვილის ვიზიტი.

ნათელა ბრეგაძე, რომელიც 1999 წლიდან 2007 წლამდე აკაკი შანიძის

მემორიალური სახლ-მუზეუმის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი გახლდათ, დღეს სკოლაში მოღვაწეობს. იგი ექსკურსიებს წინამძღოლობდა და იმ შენობას მეთვალყურეობდა, სადაც აკაკი შანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-ექსპოზიცია იყო გამოფენილი. „დღეს შემოგვრჩა ერთი ჩანთა, რომლითაც ბატონი აკაკი ბოლო წლებში დადიოდა უნივერსიტეტში და გვაქვს, ასევე, რამდენიმე მისი გამოცემა – თხზულებათა კრებულები. მართალია ბევრი აღარააფერია, მაგრამ მნახველი მაინც მრავლად გვაქვს. მაგალითად, ხობიდან მოდიან პედაგოგები თუ მოსწავლეები და 14 აპრილს ყოველთვის აქ ატარებენ დედა ენის დღესასწაულს“, – ამბობს ქალბატონი ნათელა ბრეგაძე. მისი თქმით, ნოღელეს ძალიან საამაყო პიროვნება ჰყავთ აკაკი შანიძის სახით. „ბატონი აკაკი ნამყოფია ამ სახლ-მუზეუმში, მაგრამ იქ არ უცხოვრია. 90 წლისთავი სოფელმა მას აქ გადაუხადა. მის სახელზე პატარა ქვევრიც არის მიწაში ჩადებული, საიდანაც ბატონმა აკაკიმ ერთხელ კოპით ღვინო ამოიღო და მიაწვდა თავის სტუმრებს, დაილოცა და ადღერძელა თავისი მშობლიური სოფელი. ჩვენ ძალიან გვიყვარს ბატონი აკაკი, ვაფასებთ მას და არასოდეს გამოგვრჩება მისი დაბადების დღე. 130 წლისთავთან დაკავშირებით მაინც გვინდოდა სახლ-მუზეუმის აღდგენა, მაგრამ არ გამოვივიდა. სამტრედიის გამგებელს ვალერი ფოცხვერიასაც მივმართეთ და იმედი მოგვცა, რომ თუკი კულტურის სამინისტრო დაგვიდგება გვერდით, თანხის ნახევარს მე გავიღებ თანამედროვე მუზეუმის გასაკეთებლად. ჩვენ მაღლობელნი ვიქნებით, თუკი ასე მოხდება“, – დასძენს სოფელ ნოღის საჯარო სკოლის პედაგოგი.



„ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა – 2017“ დასრულდა

ბაია ტორაძე

7 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „თანამედროვე რუსთაველოლოგიური კვლევებით კომენტარული „ვეფხისტყაოსანი“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე) – გეგმური პრეზენტაცია.

პროექტი ითვალისწინებს „ვეფხისტყაოსანს“ ტექსტის გამოცემას მეცნიერულად დასაბუთებული კომენტარებით. „ეს არ იქნება უბრალოდ ლექსიკონი, რომელშიც აიხსნება – თუ რომელი სიტყვა რას ნიშნავს. მასში მოცემული იქნება ისიც, თუ რა პრობლემას სვამს ესა თუ ის სტროფი ან ეპიზოდი. კომენტარულ „ვეფხისტყაოსანში“ შევა არა მარტო ტექსტის განმარტება, არამედ მასში მოცემული კონცეფციების ადგილი ევროპულ ცივილიზაციაში, მაგალითად, რა მიმართებაა იმ პერიოდის აზროვნებასთან, დანტეს ფილოსოფიასთან და სხვ. ასევე, როცა აღვწერთ ფაბულას, ვთქვათ, ნესტანისა და ტარიელის სიყვარული, იქვე იქნება მითითებული და დასაბუთებული, რომ ეს ფაბულა გადატანილია ინგლისში თვით შექსპირის მიერ“, – აღნიშნა საუბარში აკადემიკოსმა ელგუჯა ხინთიბიძემ.

პროექტი – „თანამედროვე რუსთაველოლოგიური კვლევებით კომენტარული ვეფხისტყაოსანი“ ერთ წელიწადში დასრულდება და მკითხველი მიიღებს წიგნის ელექტრონულ ვერსიას, თუმცა მასზე მუშაობა კვლავ გაგრძელდება საბოლოო სახის მიღებამდე და დაბეჭდვამდე. წიგნი დაეხმარება როგორც პედაგოგებსა და უცხოელ მკვლევარებს, ასევე „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესებულ ადამიანებს.

ამავე დღეს გაიმართა პროექტის – „ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა – 2017“ – დასკვნითი ღონისძიება.

ზამთრის ქართველოლოგიური სკოლის მიზანია ქართველოლოგიის მიმართულებით დაინტერესებული ახალგაზრდა კადრის მოზიდვა, მათი ცოდნის გაღრმავება, მათთვის უახლესი სამეცნიერო კვლევების გაცნობა-პოპულარიზაცია, სამეცნიერო წრეებთან მსმენელთა ადაპტირება.

ზამთრის სკოლის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები და ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჰუმანიტარული, კერძოდ, ქართველოლოგიური მეცნიერებებით: სა-



ქართველოს ისტორია, არქეოლოგია და ეთნოგრაფია; ქართველური ენები; ქართული ლიტერატურა, ზეპირსიტყვიერება და ფილოსოფია; ქართულ-ევროპული კულტურული-ლიტერატურული ურთიერთობები.

პროექტის პირველ ეტაპზე ელექტრონული ფორმით მოწოდებულ ნაშრომთაგან შეირჩა 20 საუკეთესო. შერჩეულ მონაწილეებს მეორე ეტაპზე ჩაუტარდათ ლექციები და ვორკშოპები, მოისმინეს კონკურსანტთა მიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით შესრულებული ნაშრომები.

„ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა პირველად გაიმართა 2015 წელს მცირე მასშტაბებით და საორიენტაციო ჯგუფმა ყველა დონეს მივართეთ, რომ ეს პროექტი ერთგვარ ტრადიციად გვექცია. 2016 წელს პროექტი დააფინანსა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, ხოლო წელს ფინანსური მხარდაჭერი და პარტნიორი იყო ქართველოლოგიის მხარდაჭერათა საერთაშორისო ასოციაცია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. წლებადედი ზამთრის ქართველოლოგიური სკოლის პროექტი დაიწყო 4 მარტს და გაგრძელდა 4 დღის განმავლობაში,

კონკურსის პირველ ეტაპზე შემოსული იყო 100-მდე ნაშრომი, რომელთაგანაც შეირჩა 20 საუკეთესო. პროექტის მონაწილეები იყვნენ: ფიქრია ჭანტურია, ლევან გოგაბერიშვილი, ვახტანგ უნდულაძე (აკაკი წერეთლის სახელობის ჭუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თინათინ ლევიძე (ჭუთაისის მე-7 საჯარო სკოლა), ნინო ფაფია (ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლა), თეონა მაისურაძე (თბილისი), მარიამ დამბაძე (ჭუთაისი), ირაკლი ტრაპაიძე (ოზურგეთი), ქეთევან ლეშაშვილი (ჭუთაისი), მირანდა ჯაქონია, მარიამ ქებაძე (გორის უნივერსიტეტი), თამუნა კუპატაძე (საჩხერე), დიმა ხურცივა (ილიას უნივერსიტეტი), მარიამ ტურძილაძე, ლიდა კანთელაშვილი, ლალი კუკავა, ნატო აბუსაძე, ციური გვერტაძე, ამირან ნადირაშვილი, სოფიო პაატაშვილი, ამირან ბასილაშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). სკოლის მოსწავლეებმა მოისმინეს მოწვეულ პროფესორთა ლექციები ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში. 6 მარტს დაგეგმილი ექსკურსიის ფარგლებში მათ მოინახულეს გრაკლიანი გორის არქეოლოგიური გათხრები, სადაც მათ პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა წაუკითხათ საინტერესო ლექცია, ხოლო 7 მარტს ეწვივნენ ეროვნულ სამხატვრო გალერეას, – განაცხადა ქართველო-

ლოგიური სკოლის თანაორგანიზატორმა თამარ მელიქიძემ.

სკოლის დახურვის ღონისძიებაზე მოისმინეს ქართველოლოგიური სკოლის ფარგლებში მომზადებული მოხსენება: „მინის ჭურჭელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ფონდიდან“ (ავტორები: ამირან ნადირაშვილი და სოფიო პაატაშვილი, თსუ).

„შესანიშნავი ლექციები ჩავგიტარა და, შევხვდი ადამიანებს, რომლებსაც უყვართ თავისი საქმე და მივხვდი, რომ არ მეყო ეს დღეები... მინდა, დიდხანს ვუსმინო მათ და მომავალში რაიმე ღირებული საქმე გავაკეთო. ამ ოთხი დღის განმავლობაში ბატონი ელგუჯა იყო ჩვენი მოტივატორი. ჩვენ ვიგრძენით ლექტორების სურვილი – ის ენთუზიაზმი და შემართება, რაც მათ აქვთ, ჩვენც გადმოგვედოს. მინდა იმ მოსწავლეებს მივმართო, რომლებიც ქართველოლოგიის მიმართულებით ჩაბარებას არ აპირებენ – არც მე ვაპირებდი, მაგრამ გასულ წელს ამ სკოლაში გატარებულმა დღეებმა ყველაფერი გადაწონა და დღეს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. ეს პროექტი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს“, – აღნიშნა სკოლის მონაწილემ მარიამ ტურძილაძემ.

სკოლის მსმენელებს კურსის დასრულება მიულოცეს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა, პროფესორებმა: დარეჯან თვალთვაძემ და ვახტანგ ლიჩელმა.

სკოლის მუშაობა შეაჯამა ქართველოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ელგუჯა ხინთიბიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ სკოლას რამდენიმე მიზანი აქვს: დაეხმაროს ქართველოლოგიური დარგებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, სიღრმისეულად შეისწავლონ სხვადასხვა საკითხი, ისწავლონ მეცნიერული აზროვნება, დაუახლოვდნენ ერთმანეთს და დაიმკვიდრონ თავი უნივერსიტეტებში: „ეს უაღრესად მნიშვნელოვანია მომავალი თაობის აღზრდისთვის, რომ მეცნიერული ესტაფეტა გადაეცეთ ახალგაზრდებს და უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ჩვენი მომავალი კადრები“, – განაცხადა მან.

სკოლის დახურვის ღონისძიებაზე მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ, ხოლო გამარჯვებული თემების ავტორებს: ამირან ნადირაშვილს, სოფიო პაატაშვილს, თამარ კუპატაძეს, ამირან ბასილაშვილს, ციური გვერტაძეს და ირაკლი ტრაპაიძეს – ფულადი ჯილდო, რომელიც გერმანელი ქართველოლოგის ჰაინც ფენრიხის ფონდმა გამოყო.

ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა მომავალი წლისთვის დამფინანსებელს ელოდება.

„იყავით ევროპის მეგობრები, მაგრამ იოცნებეთ უკეთეს ევროპაზე“, – საბერძნეთის საბარო საქმეთა მინისტრი ნიკოს კოძიასი თსუ-ს ეწვია



„იყავით ევროპის მეგობრები, მაგრამ იოცნებეთ უკეთეს ევროპაზე“, – განაცხადა საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოს კოძიასმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუმრობისას. საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა წაიკითხა საჯარო ლექცია „საბერძნეთი და რეგიონული თანამშრომლობის პოზიტიური დღის წესრიგის ხელშეწყობა“, რომელსაც თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, სტუდენტები, პროფესორები ესწრებოდნენ.

საჯარო ლექციაზე ნიკოს კოძიასმა ისაუბრა ევროკავშირში არსებულ ღირებულებებსა და ფასეულობებზე, ევროკავშირ-საბერძნეთის და საქართველო-

საბერძნეთის ურთიერთობებზე, ბრექსიტზე, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე, საქართველოს ინტეგრაციაზე ევროკავშირში. „გვჭირდება თანამშრომლობა, ჩვენ ვმუშაობთ საქართველოს მთავრობასთან, რომ საქართველო შეუერთდეს ევროკავშირს. რადგან სწორედ კავკასია იყო საფუძველი იმისა, რასაც დღეს ევროპას ვუწოდებთ. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ ვინმეს წინააღმდეგი ვარ; არამედ იმიტომ, რომ ვიცავთ საერთაშორისო სამართლის ნორმებს“, – განაცხადა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მისი თქმით, საქართველოსა და საბერძნეთს ძალიან ახლო ისტორიული ურთიერთობები აქვთ, რადგან საქართველო არის ქვეყანა, რომლის ინტერესებიც უნდა დაიცავს საბერძნეთ-

მა და მთლიანად ევროპამ. „დავიცვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რადგან საქართველოს დაცვა, ჩვენ ვიცავთ საბერძნეთის ტერიტორიულ მთლიანობასაც – ეს არის საერთაშორისო სამართლის ალიარებული პრინციპი“, – აღნიშნა ნიკოს კოძიასმა.

საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა კმაყოფილება გამოხატა თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საქმიანობასა და ამ მიმართულე-

ბით უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროგრამებისადმი. საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გაღრმავებისთვის, ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერისთვის თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ნიკოს კოძიასი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



იურიდიული ფაქულტეტის სტუდენტები ჰააგაში იმიტირებული პროცესების საერთაშორისო კონსურსში მიიღებენ მონაწილეობას



ნახო ოპოლადი

იურისტი სტუდენტების წარმატება



თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტურმა გუნდმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმიტირებული პროცესების ეროვნულ რაუნდში გაიმარჯვა. გამარჯვებული გუნდი მიმდინარე წლის 14-17 მაისს იმიტირებული პროცესების საერთაშორისო რაუნდში მონაწილეობის მისაღებად ჰააგის სასამართლოში გაემგზავრება, რომელშიც მსოფლიოს მასშტაბით შერჩეული 65 გუნდი იღებს მონაწილეობას. სტუდენტები წარმოდგენილები იქნებიან ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპისა და აზიის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან. ფინალური იმიტირებული პროცესები ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებთან გაიმართება.

„ძირითადი მიზეზი, რამაც ამ კონკურსში მონაწილეობა გადამაწყვეტინა, გახლავთ ის, რომ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო გამოცემა 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო კონფლიქტში მომხდარი დანაშაულებების შესახებ. ეს პროცესი რამდენიმე წელი გაგრძელდება. ჩვენი გუნდის წევრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კონ-

კურსის შედეგად შეირჩნენ. მომდევნო ეტაპზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართული იმიტირებული პროცესების ეროვნულ რაუნდში დიდი უპირატესობით დავამარცხეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები. ჰააგის სასამართლოში იმიტირებული სასამართლო პროცესების საერთაშორისო ტურზე თითოეულ ქვეყანას ორი გუნდის წარდგენის უფლება აქვს. ამიტომ, საკუთარი ხარჯებით ასევე მიემგზავრება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი“, – აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი ბაიძემ.

„ასეთი პროექტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საერთაშორისო სისხლის სამართალი სამართლის სტუდენტებისთვისაც კი საკმაოდ უცნობი სფეროა, ბევრმა არ იცის ამ სასამართლოს ფუნქციების იურისდიქცია. ჩვენ მუშაობა ოქტომბრიდან

დავიწყეთ. საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართული იმიტირებული პროცესები ეხებოდა საერთაშორისო სამართლის ისეთ საკითხებს, როგორცაა მთავრობის ლეგიტიმაცია, გენოციდი და არასრულწლოვანი მეომრები“, – აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტმა მარიამ ბეჟანიშვილმა.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების გუნდში გიორგი ბაიძესთან და მარიამ ბეჟანიშვილთან ერთად გიორგი ნაკაშიძე და დავით ჯავახიშვილი შედიან. გუნდის მწვრთნელი იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასისტენტი სპაა ფიფიაა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმიტირებული პროცესების ეროვნული რაუნდი წელს პირველად გაიმართა. კონკურსი ფონდ „ლია საზოგადოებასა-საქართველოს“ ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა.

საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით

მრგვალი მაგილა თსუ-ში

ნახო ოპოლადი

საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების გეგმა სამეურვეო საბჭომ 7 მარტს დაამტკიცა. რეფორმა დაიწყო. მიმდინარე წლის 17 ივლისიდან, საინფორმაციო გამოშვების გარდა, მაუწყებლის სამ არხზე არსებული 102 გადაცემა შეჩერდება. სამომავლო გეგმა განსაზღვრავს ამოცანებს, რომელთა შორისაა ტექნიკური გადაიარაღება, არქივის გაციფრება და სხვა, მათ შორის კადრების ოპტიმიზაცია. 15 მარტისთვის პროგრამული ბადის ფორმირება მოხდება, ანუ შესაბამისი უწყვეტი განისაზღვრება; 25 მარტამდე გაირკვევა, თუ რა მიმართულებები იქნება ახალ სეზონზე; 30 მარტს კი ახალი კონკურსი გამოცხადდება. საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის განვითარების კონცეფცია 2018 წლის იანვრიდან შემუშავდება. გაგრძელდება საპარლამენტო სხდომების ტრანსლირება. პირველ ივნისამდე დასრულდება საზოგადოებრივი რადიო 1-ის პროგრამული პოლიტიკის შემუშავება.

ნაძე საზოგადოებრივ მაუწყებელში განხორციელებულ ცვლილებებზე დაახლოებით 2 საათის განმავლობაში მსჯელობდნენ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის წარმომადგენლების ინფორმაციით, მათი მთავარი მიზანია ტელევიზიაში არსებული ე.წ. ოქროს ფონდის გადარჩენა, მაუწყებლის რეიტინგის დღეს არსებული 2%-დან 15%-მდე ზრდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის ეფექტური განკარგვა.

„ოპტიმიზაცია, ცხადია, არავის მოსწონს, თუმცა საჭიროა იმისთვის, რომ გარკვეული თანხების დაზოგვა მოხდეს და დაიწყოს ამ თანხების მიმართვა იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის წინაშე დგას. ჩვენი პირველი ამოცანა – არ იყოს ვიწროხედობით მიმდინარე მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ყველა ვალდებულია იყოს ცალკე ვალდებულია იყოს არასწორია. ასეთ რამეს ვერც ერთი ქვეყნის საზოგადოებრივ მაუწყებელზე ვერ ნახავთ. რეიტინგებიდანაც კარგად ჩანს, რომ ვიწრო ხედობით მიმდინარე მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტის საფუძველზე არ უყურებს. მეორე ამოცანაა ხარისხიანი პროდუქციის წარმოება“, – განაცხადა ახალი ამბების ბლოკის დირექტორმა გიორგი გვიმრაძემ.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის ორ არხზე და რადიოში არსებული 102 გადაცემის

თითოეულ წარმომადგენელს მკაფიო წარმოდგენა აქვს, თუ როგორ უნდა გახდეს მათი გადაცემა უკეთესი. თუმცა, დარწმუნებით გეტყვით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ უზრუნველყოფს 102 და, თუნდაც, 31 გადაცემას ვერც ფინანსურად, ვერც ტექნიკურად და ვერც ინტელექტუალურად. ყველას აქვს ერთი და იგივე ტიპის პრობლემები – აკლიათ უზრუნველყოფა, არ აქვთ კამერა, სამონტაჟო, არ ვარგა ხმა. როდესაც ვამბობთ, რომ გადაცემების რაოდენობა უნდა შემცირდეს, ავტომატურად ვგულისხმობთ, რომ ის იდეები, რაც არსებული გადაცემების წარმომადგენლებსა და ჩვენ გვაქვს, შესაგერებელია. ეს ყველაფერი უნდა მოექცეს ერთიან, ახალ კალაპოტში, სადაც ყველაფერი ბევრად ხარისხიანი იქნება“, – განაცხადა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის კონსულტანტმა ია ანთაძემ.

შეხვედრებზე სტუდენტები დაინტერესდნენ, თუ რამდენად შეძლებს საზოგადოებრივი მაუწყებელი რეფორმის პროცესში თვითმმართველობის არჩევნების დროს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში გაწერილი ვალდებულებების შესრულებას? რამდენად იქნება დაცული რეორგანიზაციისას საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებულთა შრომის უფლებები და, ასევე, როგორ აპირებს მენეჯმენტი მიუკერძოებელი პოლიტიკის გატარე-

ბას და ობიექტურობის დაცვას?

საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის ინფორმაციით, საარჩევნო პროცესის დროს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას საინფორმაციო გამოშვების ფორმატის მცირე ცვლილების შემთხვევაშიც შეძლებენ. ახალი გადაცემების კადრებით დაკომპლექტებისთვის გამოცხადებულ კონკურსში ტელევიზიაში დღეს დასაქმებულ ადამიანებსაც შეეძლება მონაწილეობის მიღება. რაც შეეხება ობიექტურობას, საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტი აცხადებს, რომ მთავარი მიზანი – რეიტინგის ზრდა – მაუწყებლისთვის მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდების გარეშე ვერ განხორციელდება.

შეხვედრებზე თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ განაცხადა, რომ თბილისის ადმინისტრაციის მომზადებული აქვს თანამშრომლობის პაკეტი საზოგადოებრივ მაუწყებელთან, რომელსაც ტელევიზიის ხელმძღვანელობას უახლოეს მომავალში შესთავაზებს.

„ასეთი შეხვედრები მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე მოვლენების მიმართ საზოგადოების ინტერესი ძალიან მაღალია. ეს საკითხი კი, პირველ რიგში, აინტერესებთ იმ ადამიანებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალ სწავლობენ. ამ ინტერაქციას ჩვენ

პერმანენტულ რეჟიმში გადავიყვანთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს რეფორმა. რათა განვივითაროთ, გვჭირდება ბევრი პარტნიორი. ჩვენ მზად ვგაქვს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის შეთავაზებების პაკეტი, თუ როგორ შეიძლება ბევრი საინტერესო პროდუქტი ერთობლივად მოვახდინოთ. მათ შორის საკანონმდებლო პროფილის პროგრამები და ა.შ. ასევე, უნივერსიტეტს ესაჭიროება პარტნიორები, სადაც მომავალი უზრუნველყოფის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებენ და ნახავენ იმ სივრცეს, სადაც მომავალში მოუწევთ მუშაობა“, – განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებმა არ დაადასტურეს გავრცელებული ხმები მაუწყებლის პირველი კორპუსის პრივატიზების პროცესის დაწყების შესახებ. გენერალური დირექტორის კონსულტანტის ნოდარ ჭიჭინაძის ინფორმაციით, მათ გეგმებში აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული არ არის, საუბარია III კორპუსში გადასვლაზე, სადაც ახალი „ნიუსრუმი“ გაკეთდება. ამ გადაწყვეტილებების მიღების მიზეზი პირველი კორპუსის ავარიულობაა, რომლის რეკონსტრუქცია, ამ ეტაპზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსურ შესაძლებლობებს აღემატება.



თსუ სოციალური მედიის მენეჯერების მომზადების ინიციატივაში მედიის როლს შეაფასებენ

ნახო ოპოლადი

თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით პირველად გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მიზანს კავკასიაში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის ალტერნატიული პერსპექტივების დასახვა წარმოადგენდა. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა და პროფესორებმა; სამეცნიერო ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში აზერბაიჯანის ელჩი დურსუნ ჰასანოვი, აზერბაიჯანის მილი მეჯლისის დეპუტატი, ყარაბაღის ვეტერანი ელმან მამედოვი, ექსპერტი მამუკა არეშიძე, ვიცე-რექტორი მიხეილ ჩხენკელი.



კონფერენციაზე დაფიქსირებული პოზიციებიდან მკვეთრად გამოიკვეთა რამდენიმე მთავარი საკითხი:

- კავკასიაში კონფლიქტების პროვოცირება, ძირითადად, მიმდინარეობდა და მიმდინარეობს რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის გატარების შედეგად.
- კავკასიაში დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებების დაწყებისთვის აუცილებელია ნდობის აღდგენა, ნეგატიური სტერეოტიპების დანგრევა და კავკასიელი ხალხების ერთიან სისტემაში გაერთიანება.

კონფერენციაზე ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ კავკასიელ ხალხს კონფლიქტების მოგვარების საკითხზე სამეცნიერო დიალოგის დაწყება შესთავაზა.

„ჩვენ არ განვიხილავთ კონფლიქტების ისტორიას, შევხებით კონფლიქტის გადაჭრის პერსპექტივებს, რადგან გვსურს მშვიდობა და არ არსებობს მშვიდობის ალტერნატივა. ომი, კონფლიქტი, უნდობლობა, დაპირისპირება გარე ძალის ხელში არის იარაღი თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების გასატარებლად. კავკასიაში დარღვეულია ისტორიული ტოლერანტიზმი, ჩვენი მიზანია ამ ტოლერანტიზმის აღდგენა, ასევე, ხელი უნდა გავუწოდოთ ერთმანეთს, ვიყოთ მიმტევებლები, გადავინახოთ ურთიერთობები, გადავდგათ ნაბიჯები ერთმანეთისკენ. მიზანია, ეს ხმა ყველა იმ ადამიანამდე მივიღეს, რომელიც კავკასიაში დღეს დენტის კასრზე ზის. ჩვენი კონფერენციის მიზანია კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების მოკლე ისტორიული ანალიზი რეგიონის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ფუნქციური დატვირთვის კონ-

ტექსტში. კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილი იყო კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების დინამიკა, სამიტებისა და მათი გადაწყვეტილებების არაქმედუნარიანობის მიზეზები, კონფლიქტების მოუგვარებლობის შიდა და გარე ფაქტორები, კონფლიქტების გადაჭრის სტრატეგიული დოკუმენტების კრიტიკული ანალიზი და ამ სტრატეგიის რეალობაში განხორციელების წინალოები. კონფერენციის მთავარი საკითხია – როგორ უნდა გადაიჭრას კონფლიქტები მშვიდობიანი გზით მთიან ყარაბაღში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ვიდრე რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებები, რომლებიც ახლა ძალიან შეზღუდულია, იზრუნებენ ახალი რუსეთის შესაქმნელად, კავკასიელმა ხალხებმა უნდა გააანალიზონ – რატომ წამოვედით იმპერიის ანკეხვა? რა გვასწავლა ისტორიულმა გამოცდილებამ? ვართ თუ არა მთლიანი სისტემის კავკასიის რეგიონის ქვესისტემები და შესაძლებელია კი თითოეულის ამოგლეჯა ამ მთლიანობიდან? ვინ ვართ ჩვენ, რა რესურსები გვაქვს? შეგვიძლია თუ არა სამშვიდობო ორგანიზაციების შექმნა? შეგვიძლია თუ არა დავეძლიოთ გაუცხოება, უნდობლობა? ჩვენ დღეს გვინდა დავიწყოთ დიალოგი, მთავარია როგორ გადავდგამთ შემდეგ ნაბიჯებს“, – განაცხადა თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ.

აზერბაიჯანის მილი მეჯლისის დეპუტატმა ელმან მამედოვმა სამეცნიერო კონფერენცია შეაფასა, როგორც სეპარატიზმისა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ერთგვარი აქცია. მისი თქმით, საქართველოსა და აზერბაიჯანში გარე ძალების ზემოქმედების შედეგად შეიქმნა კონფლიქტის ზონები. ელმან მამედოვმა იმედი გამოთქვა, რომ სა-

მეცნიერო საზოგადოების აქტიურობა რეალურ წვლილს შეიტანს დაპირისპირებული მხარეების შერიგების პროცესში.

„გარე ძალების მეშვეობით დაირღვა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა. ორივე ქვეყანამ დაკარგა ისტორიული ტერიტორიები. იმედი მაქვს, რომ სამართლიანობა აღდგება. რა თქმა უნდა, ვერც ერთი ხალხი სამუდამოდ ვერ გადაემტერება ერთმანეთს. მოლაპარაკებების დაწყება და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება ერთადერთი გზაა. ვფიქრობ, რომ ეს კონფერენცია ამ პროცესში თავის წვლილს შეიტანს“, – აღნიშნა ელმან მამედოვმა.

კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებისთვის აუცილებელ პირობად კონფლიქტოლოგი მამუკა არეშიძე კავკასიელი ხალხების კონსოლიდაციას მიიჩნევს. ექსპერტის შეფასებით, კავკასიელი ეთნოსებს შორის 90-იან წლებში გაღვივებული დაპირისპირება დღეს რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკით ხელოვნურად არის შენარჩუნებული.

„ჩვენ ვართ ერთი დიდი ტრაგედიის ნაწილი, რომელსაც 90-იანი წლების დასაწყისში დაერქვა „კონფლიქტები ეროვნებებს შორის“, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო დიდი პოლიტიკური კონფლიქტი, რომლის მსხვერპლიც გახდა აზერბაიჯანისა და საქართველოც. ძალიან სწორად ითქვა მილი მეჯლისის წარმომადგენლისგან, რომ არ შეიძლება ერთი მუდმივ მტრობაში იყვნენ. სამწუხაროდ, დღეს, ხელოვნურად მესამე ძალის მიერ ხდება ამ მდგომარეობის შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიური და, ზოგადად, კავკასიური ხალხების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომ კარგად გააცნობიერონ ვითარება, თავად გამოწახონ რესურსი საკუთარ თავში და გადადგან

პოზიტიური კონსოლიდირებული ნაბიჯები, თუნდაც, ქართულ-აზერბაიჯანული, რომელიც ამ ვითარებას შეცვლის, ანუ მესამე ძალის განსაკუთრებულ გავლენებს გაანეიტრალებს“, – აღნიშნა მამუკა არეშიძემ.

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები თემატურად საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავდა: „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი და სამეცნიერო დიპლომატია კონფლიქტების გადაწყვეტის ალტერნატიულ პერსპექტივებში“ (ლ. ახალაძე); „მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიზეზები და გადაწყვეტის გზები“ (ნ. ანთელავა); „ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისათვის“ (ს. ზედელაშვილი); „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი: კონფლიქტის ძირითადი ასპექტები და მოგვარების გზები“ (თ. ჩითინაშვილი, ა. ზირაქაძე); „ახალგაზრდების ჩართულობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში“ (ბ. ჩოგოვაძე, თ. ჩხიკვაძე, გ. კუტუბიძე); „კავკასიის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ფაქტორები ნდობის აღდგენისა და მშვიდობისათვის“ (ც. ბარამიძე) და ა.შ.

კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიული პერსპექტივების გაანალიზება-ჩამოყალიბებაზე ახალგაზრდა მკვლევრებმაც იმუშავეს. პროფესორ ცირა ბარამიძის ინფორმაციით, თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში ერთობლივად სწავლობენ ქართველი, აფხაზი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ოსი სტუდენტები, რომლებიც თავიანთი ურთიერთდამოკიდებულებებითა და კონფლიქტების მოგვარების ხედვით ნეგატიურ სტერეოტიპებს ანგრევენ. მთავარია ჩვენ შევცვალოთ, შევამციროთ ნეგატიური სტერეოტიპები, რომელშიც აღიზარდნენ კონფლიქტის დროინდელი თაობები. ახალი თაობები მოულოდნელად აღიზარდნენ ალტერნატიულ გადაწყვეტას. მათ არ სურთ ამგვარი ცხოვრება. ვფიქრობ, კავკასიის ხალხებს შეუძლიათ დადასტურონ, რომ ისტორიის შემოქმედი თავად ხალხია და არა იმპერიული რეჟიმები“, – განაცხადა თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა.

სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებმა პატივი მიაგეს ხოჯალის გენოციდის დროს დაღუპულთა ხსოვნას. ტრაგედია 1992 წელს 25 თებერვალს მოხდა, სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა საბჭოთა კავშირის 366-ე პოლკთან ერთად 613 ადამიანი დახოცეს, მათ შორის: 63 ბავშვი, 106 ქალი, 70 მოხუცი. 1275 ადამიანი ტყვედ აიყვანეს, 150 კი დაკარგულად ითვლება.

თსუ-ში სამეცნიერო კონფერენცია „კონფლიქტები კავკასიაში, გადაწყვეტილი ალტერნატიული პერსპექტივები“ 24 თებერვალს გაიმართა.



საქართველოს 2017 წლის ღია ჩემპიონატი ძალისმიერ სპორტში

19 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას და კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თანადგომით მალღივი კორპუსის სატრენაჟორო დარბაზში გაიმართა საქართველოს 2017 წლის ღია ჩემპიონატი ძალისმიერ სპორტში, ძალისმიერ ორჭიდსა და ცალკეულ მოძრაობებში, სადაც 15 გუნდის 150-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა. საქართველოს გუნდებთან ერთად

მონაწილეობდა ირანის ეროვნული ნაკრები გუნდი. ნომინაციაში „სტუდენტები“ გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრებმა გუნდმა (მთავარი მწვრთნელი ზურაბ ჭავჭავაძე). ოქროს მედლები მოიპოვეს: მაია ბურნაძემ (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-2 კურსი) – 67,5 კგ-მდე კატეგორია; ვაჟებს შორის: გრიგოლ თანი-აშვილმა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-4

კურსი) – 90 კგ-მდე კატეგორია; დავით ძიძიკაშვილმა (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მე-2 კურსი) – 100 კგ-მდე კატეგორია; ლუკა გაბუნია (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მე-2 კურსი) – 110 კგ-მდე კატეგორია (მან გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმატივს 25 კგ-ით, სამჭიდის ჯამში მოაგროვა 720 კგ და გახდა აბსოლუტური ჩემპიონი სტუდენტებს შორის). შეჯიბრის მთავარი არბიტრი იყო იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ნიკო ზარანდია, რომელიც გახლავთ 2015 წლის ევროპის ჩემპიონი და 2016 წლის მსოფლიო თასის მფლობელი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.



ენათმეცნიერების ინსტიტუტის 75 წლიანი სიბჟანა და საქმიანობა

შარტონია ბაროშვილი

„ბარდაუფალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე – მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენა... ხალხის მეობას მისი ენა მიგვანიშნებს, ენის საშუალებით გადაეცემა მომავალ თაობას, რაც წინა თაობას ცოდნა-გამოცდილება და-უგროვებია. ეს რომ არა, კულტურის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა“, – წერდა ცნობილი ქართველი მეცნიერი არნოლდ ჩიქობავა, ვის სახელსაც უკავშირდება თსუ-ის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დაარსება, რომლის მოღვაწეობაც უკვე 75 წელს ითვლის. 24 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საზეიმო სხდომა გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებმაც ინსტიტუტის საქმიანობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. საზეიმო ღონისძიებაზე არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა დამსწრე საზოგადოებას ინსტიტუტში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები გააცნო და მათ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მიუხედავად რთული პირობებისა, დღესაც იმ შეგნებით მუშაობს, რომ მას არა აქვს უფლება ფარ-ხმალი დაუაროს, მიატოვოს „ბრძოლის ველი“, ანუ სამუშაო მაგიდა და ამ ცივსა და უშუალო პირობებშიც კი მუშაობის შეჩერებაზე იფიქროს. ამიტომაც, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენ ვაგრძელებთ იმ პროექტების განხორციელებას, რომლებიც დაგეგმილია ინსტიტუტში“, – აღნიშნა ავთანდილ არაბულმა, რომელმაც თავის მოხსენებაში არაბულ ენაზე გაიხილა ინსტიტუტის დაარსების ისტორია და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიური დარგების განვითარების საქმეში.

ისტორია

როგორც ინსტიტუტის ხელმძღვანელმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ერთ-ერთი სახელმწიფო ინსტიტუტია მეცნიერებათა იმ სკოლებს შორის, რომლებიც უნივერსიტეტის დაფუძნების შემდეგ შეიქმნა კერ უნივერსიტეტის წიაღში, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ სკოლების მასშტაბები გაიზარდა, მათ ასპარეზი განავრცეს ერთიან სამეცნიერო სისტემაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახით. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, სადაც იბერიულ-კავკასიური ოჯახის ოცდაათზე მეტი ენა შეისწავლება. ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა ის ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს ენათმეცნიერული აზრის განვითარება საქართველოში. ინსტიტუტის მთელი ისტორია უკავშირდება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელს, რომელიც იყო უნივერსიტეტის პირველი გამომგების გამორჩეული წარმომადგენელი და რომელმაც გამოჩინილ ქართველ მეცნიერებთან, უნივერსიტეტის დამფუძნებლებთან – გიორგი ახვლედიანთან, აკაკი შანიძესთან და სხვა მეცნიერებთან ერთად მძლავრ საენათმეცნიერო სკოლას ჩაუყარა საფუძველი. ეროვნული უნივერსიტეტის უმთავრეს იდეას, ცხადია, დამოუკიდებელი სახელმწიფოების მომზადება წარმოადგენდა, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო დარგების განვითარებას. ავთანდილ არაბულის თქმით, სწორედ იმ პერიოდში მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუკუნეების განმავლობაში დაყოფილი ეროვნული ინტელექტუალური ენერჯის აკუმულირება, რამაც ეროვნული უნივერსიტეტის წიაღში „იფიქრა“ და გასაოცარი შედეგები მოგვცა ახალი იდეებისა და აღმოჩენების სახით, მათ შორის – ქართველოლოგიის სფეროში. ასპარეზზე გამოვიდნენ მეცნიერები, რომლებიც ფაქტობრივად შექმნეს იმდროინდელი ევროპული დონის სამეცნიერო მიმართულებები, პირველი სა-



უნივერსიტეტო ინსტიტუტებიც ევროპული პრინციპების გათვალისწინებით შეიქმნა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო საენათმეცნიერო სკოლა, რომელიც სრულიად პასუხობდა იმდროინდელი მსოფლიო სამეცნიერო პროცესების მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

მდიდარი მემკვიდრეობა

ავთანდილ არაბულის ინფორმაციით, არნოლდ ჩიქობავა იმ იდეისა და იმ სამეცნიერო სკოლის ლიდერი იყო, რომლის არსებითი ამოცანა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, განვითარებისა და ფუნქციონირების სივრცის გაკონტროლება და მეცნიერული უზრუნველყოფა იყო. ამ მიმართულებით მართლაც ფუნდამენტური ნაშრომები შეიქმნა, ერთი მხრივ, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ თუ, მეორე მხრივ, ორთოგრაფიული და ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა და კვლევების სახით... მეორე მიმართულება ქართველოლოგიის ენების შედარებითი კვლევა, მათი ქვესისტემის, ანუ ცოცხალი დიალექტების აღწერა და ანალიზი იყო, რათა ქართველოლოგიური ენობრივი სამყარო იმ დონეზე ყოფილიყო შესწავლილი, როგორც ინდოევროპული ენები. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან მე-19 საუკუნეში დაწყებული ენათა გენეტიკური გადანაწილება, ტენდენციური მიდგომის შემთხვევაში, ისტორიის „გამრუდების“ საშიშროებასაც შეიცავდა. ქართველოლოგია მეცნიერება მკაცრ მეთოდოლოგიურ პრინციპზე დააფუძნეს ქართველოლოგ ენათა ნათესაობის თეორია და ის მეცნიერულ საფუძვლად დაუდეს ქართველოლოგიური ცნობიერების განმტკიცებას, შესაბამისად, დაიცვეს ეს სფერო ნებისმიერ უნებლიე გადახრებისგან... მესამე სტრატეგიული ამოცანა – ეს იყო საკითხი კავკასიურ ენებთან კავშირთა თეორიისა, რომელიც მიზნად დაისახა უნივერსიტეტის ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. მისი აზრით, ქართველი ენის ისტორიის კვლევა კავკასიის მეკიდრის ხალხების ისტორიის გათვალისწინებლად შეუძლებელი იქნებოდა. არნოლდ ჩიქობავა ერთგული მოწაფე იყო ივანე ჯავახიშვილისა და ეს სკოლა სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე ჩამოაყალიბა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ ამ მეცნიერების დამსახურებაა, რომ ჩვენმა „კეთილისმყოფელმა“ იმპერიამ ვერასვით შეძლო სადავების წართმევა კავკასიოლოგიაში და თბილისი დღემდე ინარჩუნებს ამ მიმართულებით ლიდერის პოზიციას. ამიტომაც, როდესაც ასეთი მეცნიერებობა გვაქვს მეცნიერებს სფეროში, ეს სიმდიდრე უნდა სათანადოდ გამოვიყენოთ“, – აღნიშნა ავთანდილ არაბულმა.

ინსტიტუტის უპირველესი ამოცანა

თსუ-ის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელის, ავთანდილ არაბულის თქმით, უპირველესი ამოცანა დღესაც ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, კვლევა-შესწავლაა, რომლის სტატუსიც კონსტიტუციით არის დაცული. „ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ძველ პერიოდშიც და დღესაც, ძირითადი მოკარნახე იყო სახელმწიფოსათვის, თუ რომელმაც აუცილებელია სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და მისი განვითარების სისტემური რეგულირება. ამისათვის კი აუცილებელია საკანონმდებლო ნორმების მოწესრიგება, შესაბამისი ინსტიტუციების შექმნა, პროგრამების დაფინანსება და მათი უზრუნველყოფა. წარსულს ჩაბარდა ის მძიმე ისტორია, როდესაც საბჭოთა წყობის პირობებში ბრძოლა გვიწევდა იმისათვის, რომ ქართული ენის ასპარეზი არ შეგვეცილიყო. დღეს ჩვენ ნაწილი ვართ ახალი პოლიტიკური ბარადიგმისა, როდესაც ღია საინფორმაციო სივრცის პირობებში გლობალური კულტურული პროცესები მიმდინარ-

ეობს. ამიტომ აუცილებელია ისეთი რაციონალური პოლიტიკა დაიგეგმოს, რომელიც სახელმწიფო ენის საარსებო სივრცეს დაიცავს. ის სიმბოლოები, რომელიც შეიმჩნევა სახელმწიფო ენის განვითარებაში, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად არ არის სახარბიელო და ამ მიმართულებით მეტი მუშაობა საჭირო. დღეს არც ერთი სამეცნიერო დარგი, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილი არ არის შესაბამისი ტერმინოლოგიით, ანუ – შესაბამისი სპეციალური ენით. ამიტომაც ჩვენ თანამშრომლობას ვთავაზობთ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, იმუშაონ ენათმეცნიერებთან ერთად და ჩაერთონ ახალი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნის პროცესში. ამ მიზნით ჩვენს ინსტიტუტში ყოველწლიურად ტარდება ტერმინოლოგიური კონფერენცია და სასურველია ეს ურთიერთთანამშრომლობის ტრადიცია გაგრძელდეს“, – აღნიშნა ავთანდილ არაბულმა.

ავთანდილ არაბულმა თავის მოხსენებაში ინსტიტუტის დღევანდელ მდგომარეობაზე და მიმდინარე პროცესებზეც ისაუბრა: „მოგხსენებთ, რომ მეცნიერებათა აკადემიის, როგორც ისტემაში, გამოიზნულად და ხელოვნურად დაშლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ენათმეცნიერების ინსტიტუტს გაუმართლა, რაკი დედაუნივერსიტეტის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. საბედნიეროდ, აქ არ განხორციელებულა შეკვეცისა და შერწყმის ის პროცესი, რომელიც სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებს გაქრობას უქადდა და უქადის. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თავისი შემადგენლობით და პოტენციალით, თავად ჩვენი ძალისხმევითაც შენარჩუნდა. ჩვენ მაქსიმალურად შევიწარმეთ წამყვანი თემატიკა ქართველოლოგიის ენებისა და, ასევე, კავკასიური ენების შესწავლის სფეროშიც, ასევე, ის სტრუქტურები, რომლებიც აუცილებელია იმ მეცნიერების განსვითარებლად, რაც ჩვენი მასწავლებლებისაგან გადმოგვცა. მნიშვნელოვანი იყო, ამავე დროს, იმ კავშირების შენარჩუნება, რაც ინსტიტუტს ჰქონდა უცხოეთის სამეცნიერო წრებთან, ქართველოლოგიური ცენტრებთან, უცხოელ მეცნიერებთან, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ცენტრებიც საგრძნობლად შეცივდა. იმედია, რომ უნივერსიტეტის აქტივობა იმ წასწვევს მნიშვნელოვან საქმეს. ჩვენი მხრივ რამდენიმე პროექტი მუშავდება ერთობლივი თანამშრომლობით. რაც მთავარია, ინსტიტუტმა მიიღო უახლესი გამოწვევები, – კერძოდ, ენის ელექტრონული გაცეფრების თვალსაზრისით; შეიქმნა ცალკე სტრუქტურა – ენობრივი მონაცემების კომპიუტერული დაფუძვების განვითარების ბაზაზე ჩამოყალიბდა. ინსტიტუტის ელექტრონულ გვერდზე ძალიან მნიშვნელოვანი რესურსებია განთავსებული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კვლევებისა და, რაც მთავარია, ლექსიკონების სახით. მოგხსენებთ, წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების საქმე დღეს უკიდურეს კრიზისის განიცდის და მომხმარებელი, მათ შორის – სტუდენტებსაც, ხელი არ მიუწვდება ახალ გამოცემებზე; ამიტომ ყველა ლექსიკონი, მათ შორის, განმარტებითი ლექსიკონი, ძველი ტერმინოლოგიური ლექსიკონები და სხვ. ჩვენს ვებ-გვერდზეა განთავსებული და ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს არამარტო საქართველოში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ავთანდილ არაბულმა აღნიშნა, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ამავე დროს, ყოველთვის იყო საინტერესო შემოქმედებით პროცესების მონაწილე. როგორც ჩანს, შეუძლებელია ენას იკვლევდეს ადამიანი და მხოლოდ მის მეცნიერულ ასპექტებზე ფიქრობდეს. ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ მწერლები ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, როგორებიც იყვნენ და არიან ანა კალანდანიძე, ალექსი ჭინჭარაული, გურამ ბედოშვილი, არლი თაყაიშვილი, იზა კოლბარდი, გიორგი ცოცხანიძე, გუჩა კვარაცხელია, ნოდარ არდოტელი, მანანა კობახიძე, დიანა ანფიმიაძი და სხვები. სასიხარულოა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დღესაც აქტიურად არის ჩართული ინსტიტუტის როგორც სამეცნიერო, ისე შემოქმედებით მუშაობაში“, – განაცხადა ავთანდილ არაბულმა.



დღეს არც ერთი საენათმეცნიერო დარგი, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილი არ არის შესაბამისი ტერმინოლოგიით, ანუ – შესაბამისი სპეციალური ენით. ამიტომაც ჩვენ თანამშრომლობას ვთავაზობთ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, იმუშაონ ენათმეცნიერებთან ერთად და ჩაერთონ ახალი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნის პროცესში.

ინსტიტუტს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება

თსუ-ის ენათმეცნიერების ინსტიტუტს 75 წლის იუბილე მიულოცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ქალბატონმა ლია გიგაურმა, რომელმაც ქართული ენის განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ბოლოდროინდელმა გლობალიზაციის პროცესებმა, ტექნოლოგიების ინტეგრაციამ, ახალი დარგების გაჩენამ, მედიაპროცესებმა, ქართული მეტყველება და მართლწერა დიდწილად რისკებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა. ამის მიუხედავად არის, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს ქართული ენაზე შესატყვისი ტერმინოლოგია, ან თუნდაც იმიტომ, რომ მივეჩვიეთ ბარბარისტების გამოყენებას. სამწუხაროდ, ქართულ ენაზე მეტყველების კულტურა საქმოდ კვეთილი და კვეთილი მოდის. სწორედ ამიტომ ინსტიტუტის ისტორიული მისია ახალი გამოწვევების წინაშე დადგა და დღეს მეტი ამოცანა გვაქვს გადასატყველი. თანამედროვე კონტექსტის შესაბამისად არა გვაქვს ენის განვითარების კონცეფცია და სტრატეგია. ქართული სახელმწიფო ენა რომ განვითარდეს და თავისი სტატუსი შეინარჩუნოს, ენათმეცნიერების ინსტიტუტს დიდი მხარდაჭერა სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან“, – აღნიშნა ქალბატონმა ლია გიგაურმა.

თსუ-ის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაობის მნიშვნელობაზე და ხელშეწყობაზე ისაუბრა თსუ-ის რექტორმა, ბატონმა გიორგი შარვაშიძემ: „ქართველოლოგიური სკოლა რომ გამორჩეული იყო არამარტო საქართველოში, არამედ მთლიანად რეგიონში, ეს სწორედ ამ ინსტიტუტის დამსახურებაა. აქ ჩაუყარა საფუძველი ქართველოლოგიას და ლინგვისტურ კვლევას საქართველოში. სამეცნიერო კვლევები, რომელიც წარმოებდა საქართველოში და ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მართლაც სამაგალითოა სხვა ინსტიტუტებისთვისაც. დღეს სასიხარულო დღეა ბევრი რამის გათვალისწინებით – ბევრი რამ ითვება წარსულზე თუ სამომავლო გეგმებზე. ის, რაც იყო, რა თქმა უნდა, დაუღალავი შრომის ნაყოფია, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ინსტიტუტის წიაღში. თქვენ შეძელით აქამდე მოიტანეთ ეს სკოლა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, 2010 წელს, დიდი საფრთხის წინაშე იდგა. გვჯერა, რომ ჩვენი ერთობლივი მომავალი იქნება ძალიან კარგი, და სასიხარულოა, რომ ამ მხრივ სახელმწიფოსაც აქვს მზაობა, რაც საშუალებას გვაძლევს, ოპტიმისტურად შევხედოთ მომავალს“, – აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ-ის ენათმეცნიერების ინსტიტუტს საიუბილეო თარიღი მიულოცეს აკადემიკოსებმა: თამაზ გამყრელიძემ და როინ მეტრეველმა, ასევე ინსტიტუტის ასაკოვანმა და ახალგაზრდა თანამშრომლებმა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფოიეში გამოიფინა ინსტიტუტის მიერ უახლოეს პერიოდში გამოცემული ლიტერატურა, ხოლო ეკრანზე წარმოჩენილი იყო ელექტრონული რესურსები.

დღეს არც ერთი სამეცნიერო დარგი, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილი არ არის შესაბამისი ტერმინოლოგიით, ანუ – შესაბამისი სპეციალური ენით. ამიტომაც ჩვენ თანამშრომლობას ვთავაზობთ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, იმუშაონ ენათმეცნიერებთან ერთად და ჩაერთონ ახალი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნის პროცესში.



ახალი წიგნი თაროზე

თამარ ლალიანი



ეკონომიკური განვითარების სპეციფიკური პრობლემების დამუშავებას სახელმძღვანელოდ დიდი ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, მაშინ როდესაც წამყვანი ქვეყნების ეკონომიკამ პოსტინდუსტრიულ ეტაპზე გადასვლა დაიწყო. მანამდე ამ პრობლემებს, გამონაკლისის გარდა, ნაკლები ყურადღება ექცეოდა, აქცენტი ეკონომიკური ზრდის თემატიკაზე იყო გადატანილი, ვინაიდან სწრაფი თვისებრივი ცვლილებები ამ ქვეყნების ეკონომიკაში სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. საქართველოში აღნიშნულ პრობლემებიდან სერიოზული მუშაობა მხოლოდ 2000 წლიდან დაიწყო პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში და 2004 წლიდან პროფესორ რამაზ აბესაძის ავტორობით რეგულარულად ქვეყნდება მრავალი სამეცნიერო სტატია. 2004 წელს გამოდის მისი წიგნი „ეკონომიკური განვითარება“, 2014 წელს – „ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესია“, ამჟამად საქმე ეხება მის სახელმძღვანელოს – „ეკონომიკური განვითარების თეორია“.

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს მაგისტრებისა და დოქტორანტიებისთვის, რომლებიც შეისწავლიან დისციპლინას „ეკონომიკური განვითარების თეორია“. წიგნი ეკონომიკური განვითარების თეორიულ პრობლემებს ეძღვნება.

ნაშრომში გადმოცემულია ეკონომიკური განვითარების არსი, ნაჩვენებია დამოკიდებულება

ეკონომიკური ეფექტიანობის გასაანგარიშებელი ფორმულები, გადმოცემულია ეკონომიკური განვითარების თავისებურებები განვითარებულ, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

ავტორი საინტერესოდ განიხილავს ეკონომიკურ განვითარებაზე გლობალიზაციის გავლენის პრობლემებს. შემოაქვს „სამართლიანი გლობალიზაციის“ ცნება. იგი აღნიშნავს, რომ გლობალიზაცია მოიცავს როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების, ისე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. ამდენად, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პრობლემის სწორად წარმართვა, ანუ სამართლიანი გლობალიზაციის განხორციელება. ეს მიიღწევა მაშინ, როდესაც გამოირიცხება ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება და ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება საერთო თანხმობის შედეგად. სხვა მიმართულება გლობალიზაციის კატასტროფით შეიძლება დასრულდეს.

აქვეა შემოთავაზებული ეკონომიკური განვითარების ინდიკატორთა სისტემა, სადაც გამოყოფილია ინდიკატორთა სამი ჯგუფი: ეკონომიკური, სოციალური და თვისებრივი მაჩვენებლები. მკვლევარს ურთქმობს გარეშე არ რჩება ასევე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემები. იგი გამოყოფს საქართველოს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის 7 ეტაპს (ეკონომიკური დაცემა; სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის დასაწყისი; დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და სხვა), რომლის შესაბამისად გამოკვლეულია იმ წარმატებებისა

და წარუმატებლობების მიზეზები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ რეფორმების განხორციელების დროს. გამოვლენილია ის შეცდომები, რომელიც ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რეფორმების გზაზე იქნა დაშვებული საქართველოში და რამაც წარმოშვა რეგრესული პროცესები ეკონომიკაში.

ნაშრომის გაცნობის შემდეგ შესაძლებელია გამოიყოს ის მომენტები, რომლებიც ორიგინალობითა და სამეცნიერო სიახლეებით ხასიათდება: აღსანიშნავია, რომ საქართველოში წინამდებარე ნაშრომის ანალოგი არ მოიპოვება, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი მსოფლიოში არსებული ნაშრომებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი მოიცავს ეკონომიკური განვითარების ზოგად პრობლემებს და არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრობლემებს. ნაშრომში დახსენებულია ტერმინთა („ეკონომიკური განვითარება“, „ეკონომიკური ზრდა“) განმარტებები და ნაჩვენებია დამოკიდებულება ეკონომიკური განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური განვითარება შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებისკენაც იყოს მიმართული, რომ გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკა განსახლებავს პოლიტიკას და სახელმწიფო წყობას, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში პოლიტიკა (სახელმწიფო წყობა) განსახლებავს ეკონომიკის თამაშის წესებს, მოწოდების ფორმას (საბაზრო, მბრძანებლური, ტრადიციული, შერეული), მათ შესაბამის მოდელს (იაპონური,

გერმანული და ა. შ.).

ნაშრომში ასევე შემოთავაზებულია დახასიათებულია ადამიანისეული კაპიტალის ძირითადი ელემენტები: ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე; გონებრივი და ფიზიკური უნარი; ჩვევები (პროფესიული და ინსტიტუციური); გამოცდილება (პროფესიული და ცხოვრებისეული); ცოდნა (პროფესიული და ზოგადი); მოტივაცია და სხვა.

ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს უმუშევრობის პრობლემებს. დასაბუთებულია, რომ უმუშევრობის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ უნდა გაატაროს არა ინფლაციური პროცესების მაპროვოცირებელი პოლიტიკა, არამედ იმ ინოვაციების მასტიმულირებელი პოლიტიკა, რომელიც გაზრდის წარმოების მოცულობას ძველის გაფართოებისა და ახალი ეკონომიკური სფეროების ათვისების მეშვეობით. მას ეკონომიკის ინოვაციური რეგულირება შეიძლება ეწოდოს.

წიგნი ეკონომიკური განვითარების თეორიის კიდევ ბევრი ისეთი საკითხი განხილული, რომელთა გათვალისწინება ხელს შეწყობს ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით განხორციელებას, ვინაიდან თეორიაზე დაფუძნებული ცოდნის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ვექტორის სწორი მიმართულებით წარმართვა.

წიგნი განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისა და მაგისტრანტებისთვის, ასევე ეკონომიკის განვითარების პრობლემებით დაინტერესებული პირებისთვის.

უნივერსიტეტში არეოპატიული სამეცნიერო ცენტრის აღდგენას ითხოვენ

თამარ ლალიანი

27 თებერვალს თსუ-ში საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ მიერ დაფუძნებული ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის ხსდომა გაიმართა, სადაც დარბაზის ხელმძღვანელმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დენიზა სუმბაძემ მოხსენება წაკითხა. ქალბატონი დენიზას მიზანი გახლდათ, რომ საზოგადოებას გაეცნო ის კვლევითი შედეგები და თვალსაზრისები, რომელიც წარმოდგენილია მის წიგნში: „საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა წარმომავლობა და ქართველი ერის საღმრთო მისია“, რომელიც ამჟამად ბეჭდვის პროცესშია. სხდომაზე მოწვეულ საზოგადოებას ქალბატონმა დენიზამ განუცხადა, რომ სხდომის დღე, 27 თებერვალი, უნივერსიტეტის აღმშენებლის გუგუშვილის, მისი ძმის, გოგი ზუმბაძისა და მისი მეგობრების უშაბუ გარდაცვალების დღეა და მოხსენებას მათ ხსოვნას უძღვნის.

სხდომას ესწრებოდნენ: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე; ცნობილი გერმანისტი, მთარგმნელი ზურაბ აბაშიძე; მწერალი გურამ პეტრიაშვილი; ისტორიკოსი, მწერალი ზურაბ ისტაინი; ქართველოლოგი აკაკი გასვიანი; საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო სახლის კანცლერი კახა ჭორიძე; ბაგრატიონთა სახლის ისტორიკოსი და მემკვიდრე იოსებ ბიჭიკაშვილი; საქართველოს პედაგოგიკის კავშირის თავმჯდომარე ნოდარ კიკნაძე; ამავე კავშირის წევრები: კლარა ტონია, ელისო გელაოვანი, კარლო სუმბაძე (ჭორიშვილის შვილი), ანზორ ოძელაშვილი; სახალხო მოძრაობის: „საქართვე-



ლოს სამეფო ტახტის“ წარმომადგენელი, ფილოლოგი ვერიკო ჩოხელი, ნოდარ სუმბაძე და სხვები. პროფესორმა დენიზა სუმბაძემ საკითხები ახლებურად ხედვითა და რაკურსით წარმოაჩინა.

„ჟველას გვაწუხებს ჩვენი ქვეყნის ბედი და ის რეალობა, რომელშიც ცხოვრობთ და ვეძებთ გამოსავალს, თუ როგორ უნდა მოვუაროთ ამ პრობლემებს. საკითხი, რომელზეც დღეს ვისაუბრებ, სწორედ ჩვენი ეკლესიური ცხოვრების, ეკლესიურ-მონარქისტული მოძრაობის კონტექსტში წარმოჩინდა. ეს გახლავთ ქართველი ბაგრატიონების წარმომავლობის ისტორიულ-მეცნიერული და დღევანდელ-ეკლესიური გაგების საკითხი, ანუ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური რეალობის გაგების ქვეშ მოქცეული ეკლესიური გაგებისა, როგორც დამოუკიდებელი ერთი მხრივ ისტორიულ-მონასტრული და ე.ი. კანონიკური გაგებიდან, ისე ქართველი ერის სახალხო რწმენიდან და ასევე ყველაზე დიდი ქართველი მეცნიერების: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროვას, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა თვალსაზრისებიდან. ღვთის წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩემი ხედავ ავუსხნა ეკლესიასაც და ჩემს ხალხსაც, სანამ შესაძლებლობა არ ამოწურულია

დიდი ეროვნული დანაშაულის აცილებასა. დღეს ინფორმაციული ომი გაჩაღებული საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ამიტომ მნიშვნელოვანია ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის – „დავითანის“ – გაგება წარმოვადგინოთ დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში... მინდა სრულიად ახლად აღმოჩენილი ისტორიული ებრაელობა მოგაწოდოთ მსოფლიოს სიონისტური მოძრაობისა და საქართველოს დაკავშირებულობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ქართველი ებრაელობა უკვე XIX საუკუნის დასასრულს სიონისტურ მოძრაობაში ოფიციალურად იყო ჩართული და ეს ჩართულობა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაშიც“ კი იყო გახსენებული“, – განაცხადა დენიზა სუმბაძემ.

მსოფლიო ქრისტიანულ სამყაროში ბაგრატიონთა დინასტიას ქველზე ძველი და გრძელი ისტორია აქვს, როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე ერთადერთი, უცვლელ დინასტიას საქართველოს სამეფო ტახტზე. მას სრულიად განსაკუთრებული და განსხვავებული ადგილი უჭირავს ასევე ყველა ევროპულ დინასტიათა შორის, და თუ რატომ არის ის ასეთი განსაკუთრებული, სწორედ ამის შესახებ ისაუბრა პროფესორმა დენიზა სუმბაძემ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მეცნიერული თვალსაზრისით იკვლევდა ქართველ ბაგრატიონთა წარმომავლობის საკითხს.

„ფაქტობრივად, საკითხი ეხება თავად ქართველი ერის ფენომენალური რაობისა და ვინაობის ისტორიულ ასახვას საქართველოს მეფეთა ტიტულში, რაც ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია: მნიშვნელოვანია ერთი შეხედვით, ფარულად, ხოლო, თუ ჩავუკვირდებით, სრულიად აშკარად და ღიად, ჩვენს ქვეყანაში მიმდინა-

რე, დღევანდელი სახელმწიფოებრივი პროცესების კონტექსტში; ამასთან, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართველი ერის ფენომენალური ვინაობის სადღეისო განსაზღვრებისა და შემეცნებისათვის, და, აქედან გამომდინარე, მისი საკაცობრიო მისიის აღსრულებისათვის, არამედ თავად საქართველოში მიმდინარე პროცესების გაცნობიერების აუცილებლობისთვისაც. ჩემი დღევანდელი მოხსენება აუცილებელი პასუხია იმ სადღეისო მსოფლმხედველობრივ გამოწვევებზე, რომლებზეც პასუხისმგებლობა ქართულ მეცნიერებას ეკუთვნის. ბაგრატიონების წარმომავლობის დამახინჯება არის ინფორმაციული საწამლაგი, რომლისგანაც უნდა განიკურნოს საქართველო. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ პასუხისმგებლობა ამ განკურნებაში ეკუთვნის მეცნიერებას და არა ეკლესიას“, – განაცხადა დენიზა სუმბაძემ, რომელმაც განმარტა რელიგიური მნიშვნელობა საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ისტორიული სამეფო ტიტულისა: „დავითანი“. მან მეცნიერულად გააანალიზა საქართველოს მეფეების მესიანისტური დანიშნულება.

„მოცემულ შემთხვევაში ქალბატონი დენიზა ცდილობს, დაარწმუნოს თავისი მეთხველი, რომ ქართველ მეფეთა წოდება „დავითანებად“ ღრმა საიდუმლოების შემცველია და მისი გახსნა არა მარტო ქართველებს წაადგება, არამედ მთელ მსოფლიოს აუხელს თვალს მთელ რიგ ისეთ საკითხებზე, რაც აქამდე გაუცნობიერებელი იყო. კერძოდ, უფრო საცნაურს და ნათელს გახდის „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ ნამდვილ არსს, იმ წესრიგისას, რომელსაც, მისი აზრით, სათავეში ებრაულ-მასონური მოძრაობა უდგას და რომელიც ფარულად, მაგრამ მზაკვრულად, საქართველოს სამეფო ტახტისკენ მოიწვევს. კოვლივე ზემონათქვა-

მის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ პროფესორ დენიზა სუმბაძის მეცნიერული ხედვა არის ახალი სიტყვა ქართულ ფილოსოფიასა და რელიგიათმცოდნეობაში“, – ასე შეაფასა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რევაზ ბალანჩივაძემ ქალბატონ დენიზას მეცნიერული თვალსაზრისი.

აქადემიკოს ელიზბარ ჯაგელიძის აზრით, „ქალბატონ დენიზა სუმბაძის მეცნიერული ანალიზი ეხება ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც საუკუთადად ბოლომდე ისტორიის შესწავლისათვის, ასევე თანამედროვე გლობალურ-პოლიტიკური მიმდინარეობის გაგების თვალსაზრისითაც, ქართველი ბაგრატიონები წმინდა ქართული გენისა და სისხლის მატარებლები არიან. ხოლო მათი დაკავშირება წინასწარმეტყველ დავითთან მითოლოგიური ხასიათისა და ის ოდენ ზნეობრივ-სულიერი სრულყოფის გამომხატველი ეპითეტიც. სხვაგვარად გაგება, ქართველ მეფეთა ამ ტიტულით შემკობის ფაქტისა, დაუშვებელია და არის მხოლოდ იმის დასტურის, რომ ჩვენი ხელმწიფონი ისეთივე სრულყოფილი არიან სულიერად და ზნეობრივად, ვითარცა დავით წინასწარმეტყველი“.

სხდომაზე პროფესორმა დენიზა სუმბაძემ წამოაყენა წინადადება – აღდგეს უნივერსიტეტში არეოპატიული სამეცნიერო ცენტრის ნორმალური ფუნქციონირება, რომელმაც მსმენელების სრული მხარდაჭერა მოიპოვა. ამ მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყო. სხდომამ მიიღო დადგენილება, მომზადდეს ტექსტი რექტორის, ბატონ გიორგი შარვაშიძისადმი საზოგადოებრივი მიმართვისა, რათა აღდგეს და ხელშეწყობილ იქნას არეოპატიული სამეცნიერო ცენტრის მუშაობა.

საბავშვო უნივერსიტეტის უნივერსიტეტი

შპს-ის ბავშვთა

23 თებერვალს თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ნორჩ გეოგრაფთა სკოლის მიერ გამოცხადებული ფოტო-კონკურსი – „შენი თვლით დანახული საქართველოს ბუნება“ – დასრულდა. გამარჯვებული მოსწავლეები პროექტის ორგანიზატორებმა სერტიფიკატებითა და სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს.

რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლის გიგა უჩანეიშვილისთვის ეს კონკურსი განსაკუთრებული იყო. მისი 6 ფოტოდან უფროსი ორი შეარჩია – უჯარმისა და ბორჯომის ხეობის პეიზაჟები, მათგან ერთმა კი სოციალურ ქსელში 22 300 მოწონება დაიმსახურა. „ფოტოგრაფია, სხვა გატაცებებთან ერთად, ჩემი ჰობია, ამიტომ ხშირად ვიღებ სასკოლო ფოტო-კონკურსებში მონაწილეობას. ბუნება ძალიან მიყვარს და როგორც კი ღამიანად ვნახავ, მაშინვე ფირზე ვაფიქსირებ. ამ კონკურსში გამარჯვება ჩემთვის ძალიან საპატიოა. მიხარია, რომ სოციალურ ქსელში ამდენმა ადამიანმა ნახა და მოიწონა ჩემი ფოტოები“, – გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილება გიგა უჩანეიშვილმა.



ადგილზე გასული ფოტო

ფოტო-კონკურსის მონაწილეებს და გამარჯვებულებს თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელი მარინე ლომოური მიესალმა და მათ წარმატებები უსურვა. მისი თქმით, წელს კონკურსში მონაწილეობა საქართველოს ყველა რეგიონის მოსწავლეებმა მიიღეს, რომლებმაც საინტერესო ფოტო-მასალა წარმოადგინეს. „ჩვენ შევეცადეთ, მაქსიმალურად ობიექტურები და მიუკერძოებლები ვყოფილიყავით ფოტოების შერჩევას. ამიტომ პირველ ეტაპზე ანონიმურობა იყო დაცული. 450 ფოტოდან უფროსი 30 საუკეთესო შეარჩია, ამიტომ თქვენ ყველანი გამარჯვებულები ხართ“, – მიმართა მარინე ლომოური მოსწავლეებს.



ფოტო-კონკურსის გამარჯვებულები თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ კონკურსების კოორდინატორმა დემეტრე მოდუბაძემ დააჯილდოვა. „როდესაც კონკურსის ჩატარების იდეა გაჩნდა, ჩვენი მთავარი მოთხოვნა და კრიტერიუმი იყო ის, რომ ფოტოები მოეწოდებინათ ყოველგვარი დამუშავებისა და სპეციალური პროგრამის დახმარების გარეშე. ჩვენი აზრით, მოსწავლეებმა შეძლეს და კარგად გაართვეს თავი ამ ამოცანას“, – განაცხადა დემეტრე მოდუბაძემ.



თსუ-ის აბიტურიენტთა მომზადების ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი გრიგოლაშვილმა კონკურსის გამარჯვებული პირველი ოთხეული მოსამზადებელი კურსების 10%-იანი ფასდაკლების ვაუჩერით დაასაჩუქრა.

ფოტო-კონკურსში – „შენი თვლით დანახული საქართველოს ბუნება“ – მეორე ადგილი მარია მესხრიშვილმა, მესამე ადგილი კი ნუცა ბარათაშვილმა დაიმსახურეს. პირველი, საპატიო ადგილი კი თბილისის 77-ე საჯარო სკოლის მოსწავლეს ლაშა შერმაზანაშვილის ფოტოებს ხვდა წილად. „ჩემთვის ეს მოულოდნელი და სასიხარულო იყო. ფოტოების გადაღება ჩემი სპორტული საქმიანობაა, მით უფრო, რომ მამაც ფოტოგრაფია. კონკურსზე 4 ფოტო გამოვაგზავნე, აქედან 3 – ჯავახეთში გაყინული საღამოს ტბის, ყაზბეგის მთების და ნინოწმინდის პეიზაჟი მეორე ეტაპზე მოხვდა. ჩემთვის მოულოდნელი და საამაუო იყო ის ფაქტიც, რომ ჩემი ფოტო ევროპის საბავშვო უნივერსიტეტების გაერთიანების მიერ გამართულ გამოფენაზე გაიგზავნა. ფოტოგრაფია, ალბათ, ყოველთვის დარჩება ჩემს ერთერთ ყველაზე დიდ გატაცებად“, – გვითხრა ლაშა შერმაზანაშვილმა.

თსუ უნივერსიტეტი

რას ვეძებთ მე ჩემს უნივერსიტეტს?

გლიც-ინტერვიუ აშშ-ში საქართველოს ელჩთან ღვთისმშობლის სახელობის კათედრის



– თსუ-ის კურსდამთავრებულთა კლუბის თუ ფონდის საქმიანობაში თუ მიიღებთ ან როგორ მიიღებთ მონაწილეობას, როგორც თსუ-ის ერთ-

ერთი წარმატებული კურსდამთავრებული?

– ვფიქრობ, ის თანამდებობის პირები, ვისაც უნივერსიტეტში განათლება აქვს მიღებული, პირდაპირ ვალდებული არიან (ყოველგვარი დამატებითი ტიტულების გარეშე) უნივერსიტეტის ახალ თაობას გააცნონ ის გამოცდილება, რაც გააჩნიათ, რაშიც, დარწმუნებული ვარ, რომ ყველა უნივერსიტეტდამთავრებული იქნება მოხარული, რომ ჩაერთოს. ჩვენ ასე გამოვხატავდით უნივერსიტეტისადმი სიყვარულს და ამ კუთხით ვიყავით ჩართულნი ამ პროცესში.

ყოველთვის, როდესაც ჩამოვალ თბილისში, დიდი სიამოვნებით ვაგვუზიარებ თქვენს სტუდენტებს ვაშინგტონიდან დანახულ თემებს, ინფორმაციას, რაც შეეხება საქართველოსა თუ რეგიონში არსებულ გამოწვევებს.

ზოგადად კი, როგორც საქართველოს ელჩმა ამერიკის შეერთებულ

შტატებში, მინდა, რომ მაქსიმუმს მივალწყო, რათა ის მაღალი ფასი, რომელიც ამერიკულ უნივერსიტეტებს გააჩნიათ (თუნდაც ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში) ან შემცირდეს, ან განახევრდეს, რათა ქართველი სტუდენტებისთვის ამერიკაში განათლების მიღება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. ინტერესი ძალიან მაღალია. იცით, რომ მთავრობა აფინანსებს მაგისტრატურისა და დოქტორანტურას და თუკი ამ მიმართულებით გავაჩენთ ახალ სივრცეს, ეს ნიშნავს იმას, რომ გაორმაგდება და გასამმაგდება იმ სტუდენტების რიცხვი, ვინც მიიღებს ამ ბრწყინვალე შესაძლებლობას – ისწავლოს ამერიკაში. ფაქტია, რომ განათლების ის ხარისხი, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებშია, ნომერი პირველია მსოფლიოში და ამ განათლებისადმი ჩვენ უნდა გვქონდეს მაქსიმალური წვდომა.



მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სამსახური

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

მანანა ჯურხაძე

შურნალისტი

ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი

ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:

რისმაგ გორდეზიანი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ეთერ ხარიშვილი,
ლადო პაპავა,
მანანა შამილიშვილი,
თემურ ნადარეიშვილი,
ლადო მინაშვილი,
მორის შალიკაშვილი,
ნინო ჩიხლაძე,
გიორგი ჯიანი,
არსენ გვენეტაძე,
მარიამ ცისკაძე,
ნინო ქალაგანიძე,
ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge

ელ. ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

სამუშაო:
თამარ ჩიქოვანი,
იანო პაპავაშვილი,
რამაზ საყვარელიძე,
გიორგი პაპალია



უყურეთ!
ყველა სიხალსე - აქვანტაბით,
პრობლემას - განსჯით, ანგელო
და წარსულს - გადაფასებით
გადაცემით „უნივერსია“
საზოგადოებრივი მუშაობის
მეორე არხის ქეთარში